სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 8 ივნისი 2000 №107 (1129) | ფასი 50 თეთრი



16 გუნდი — 16 გვერდი;
ევროპის
ჩემპიონატის
კალენდარი;
ჩემპიონთა ლიგა;
უეფას თასი, პოსტერი...
ორშაბათიდან
იყიდება
ჟურნალი
სარბიელი
მეოთხე ნომერი
ფასი 2 ლარი

ფანტაზია და მარჯვე ხელები

მატჩის შედეგის
გაყალბების უამრავი
ხერხი არსებობს,
მაგალითად....

დღეს ზაზა ჯანაშია ბრუნდება

მოსკოვის „ლოკომოტივს“
ტრავმამოშუშებული
ქართველი
თავდამსხმელი უბრუნდება

ცაცია ქინქლაძე მემარცხენე არაა

გიორგი ქინქლაძე
ჟურნალისტებს ეთანხმება

ნაკრები გაიყო

მწვრთნელები ესტონეთიდან წავლენ

გადრი კეთილაძის ფოტო

არჩილ არველაძის თერთმეტმეტრიანი დარტყმა ნიკოლოზ ტოგონიძემ მოიგერია, მაგრამ დამატებისას გიორგი ჩიხრაძეს არჩილმავე დაასწრო

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველ შენობაში მწვრთნელთა საბჭოს წევრები რომ შეიკრიბნენ და დაახლოებით საათ-ნახევრიანი სხა-ბაასი მოათავეს, ყველამ ერთად ეროვნულ სტადიონზე გადაინაცვლა, ნაკრების კანდიდატებზე ვილაპარაკეთ, ახლა ისინი საქმეში ვნახოთო. ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა ესტონელებთან ამხანაგური თამაშისთვის გამოძახებულთ რამდენიმე ფეხბურთელიც დაუმატეს და ნახევრად დახაზულ მოედანზე საწვრთნელი მატჩიც გაამართეს. ფეხბურთელებს „დინამოსა“ და „თბილისის“ მაისურები მოერგოთ და 90 წუთი ერთმანეთის მეტოქეებად გაატარეს.

იხილეთ მეორე გვერდი

სად გაჩერდება მატარებელი?

ვინ გააჩერებს მაგნუს ნორმანს? შვედური მატარებელი სულ უფრო კრეფს სიჩქარეს და თავის გზაზე ყველას და ყველაფერს თელავს. გუშინ როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე, წლევანდელი სეზონის ლიდერმა გიგანტი რუსი მარატ საფინი შემუსრა და ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვდა ბოლო გაჩერებას — დიდი სლემის ტიტულს. ნახევარფინალში ნორმანის მეტოქე არგენტინელი ცაცია ფრანკო სკილარი იქნება, რომელმაც მსუბუქწონისანთა დუელში თავისი ალი-კვალი ალბერტ კოსტა დაამარცხა.



REUTERS ჯარი ზიდან

მაგნუს ნორმანი

იხილეთ მეცამეტე გვერდი

უცნაური სურათი
ერიკ გერეტსის ჰეთ თრიქი

ჰოლანდია

ერიკ გერეტსი ჩინებული ფეხბურთელი იყო და მწვრთნელიც კარგი გამოდგა. წლეულს რომ პსვ „ეინდჰოვენი“ უპრობლემოდ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, სწორედ გერეტსის დამსახურებაა. აქ შემთხვევითობა არაფერ შუაშია. ჰოლანდიაში ჩასვლამდე გერეტსმა ბელგიურ კლუბებს — „ლიერსსა“ (1997 წელს) და „ბრიუგეს“ (1998) მოაგებინა ოქროს მედლები. ეგ არის, ეინდჰოვენური ჯილდო მისთვის, ალბათ, განსაკუთრებულია, ამ კლუბის მაისურით ხომ გერეტსი ექვსჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და 1988 წელს ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა.

ჩემპიონთა ლიგაში არცთუ წარმატებულმა გამოსვლამ გერეტსის გუნდს შინაურ პირველობაზე ფრთები გააშლევინა და მთელი სეზონი ისე მიიღია, სერიოზული კონკურენტი არ გასჩენია. 23 წლის ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ, სანამ დასცალდა, კვლავ გაიბრწყინა, 29 ბურთი გაიტანა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რომ არა ტრავმა, რომელიც 9 თებერვალს დანიურ „სილკებორგთან“ ამხანაგურ მატჩში მიიღო, „ჰოლანდიის ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი“ იქნებ „პორტუს“ ბრაზილიელ მარიო ჟარდელსაც გაჯიბრებოდა. შეგახსენებთ, 38 გოლით ჟარდელი პორტუგალიისა და ევროპის საუკეთესო მეგოლე გახდა.

ვან ნისტელროი პსვ-მ შარშანწინ „ჰერენვენისგან“ 15 მილიონ გულდენად (ჰოლანდიის რეკორდია) შეიძინა. პირველივე ეინდჰოვენურ სეზონში მან 31 ბურთი გაიტანა და ჩემპიონატის ბომბარდირობაც არავის დაუთმო, მაგრამ თებერვალში მიღებულმა ტრავმამ მისი კარიერის მომავალიც კი ეჭვქვეშ დააყენა. სეზონის ბოლოს ვან ნისტელროი ლამის „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრი გახდა, ინგლისელები მასში ბრიტანეთისთვის სარეკორდო თანხას — 18,5 მილიონ გირვანქას იხდიდნენ, მაგრამ გარიგება ბოლო მომენტში სწორედ ფეხბურთელის არადამკმაყოფილებელმა ჯანმრთელობამ ჩაშალა.

„პსვ ეინდჰოვენი“: ჰოლანდიის თხუთმეტგზის ჩემპიონი

მეორე პრობლემა, რომელმაც პსვ-ს ქომაგები შეაწუხა, მეკარის საკითხი გახლდათ. გერეტსმა თავიდანვე თქვა, ძირითადი იუგოსლავიელი ივიცა კრალი იქნებაო, რონალდ ვატერეუსს კი, რომელიც წლების მანძილზე ეინდჰოვენელთა მთავარი კარის დარაჯი იყო, სათადარიგოთა სკამისკენ მიუთითა. ეს რომ გაიგეს, ვატერეუსს რამდენიმე ევროპულმა კლუბმა დაადგა თვალი, მაგრამ ის გუნდიდან მაინც არ წავიდა. მალე კრალი დაშავდა და ვატერეუსი ისევ დააყენეს კარში, ურიგოდაც არ უთამაშია, მაგრამ როგორც კი იუგოსლავიელი მომჯობინდა, ისტორია განმეორდა. საინტერესო ისაა, რომ ცოტა ხანში კრალი ისევ დაშავდა და ვატერეუსმაც ძირითადის სტატუსი დაიბრუნა.

1913 წელს დაარსებული პსვ შექმნის დღიდან ადგილობრივი ელექტროტექნიკური კონცერნის „ფილიპსის“ სპორტულ ფილიალს წარმოადგენს (PSV ნიშნავს — *Philips Sports Verehiging* — ფილიპსის სპორტული კავშირი). ოფიციალურად ფირმას გენერალური სპონსორის როლი აკისრია, მაგრამ სინამდვილეში „ეინდჰოვენი“ მხოლოდ ფორმალურად ითვლება საკუთარ ბიუჯეტიან დამოუკიდებელ კლუბად. ერთი სიტყვით, პსვ „ფილიპსის“ გუნდია და ამით ნამდვილად არაფერს აგებს. „ფილიპსის“ პროდუქციის ხარისხი თბილისელებმაც კარგად იციან, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ჩვენამდე ამ ფირმის ორიგინალური ნაწარმი ვერ აღწევს.

„ფილიპსი“ ეინდჰოვენის ყველა საქმესა თუ ასპექტში ფიგურირებს. ყველაზე მთავარი კი ფინანსური ოპერაციებია. პსვ-ს საკონტრაქტო საიდუმლოებებიც ისევე სათუთადაა შენახული კონცერნის სეიფებში, როგორც, ვთქვათ, ახალი მიკროპროცესორის ნახაზები.

შარშანდელმა ჩემპიონმა „ფეიენოორდმა“, ჩემპიონთა ლიგაში არცთუ ურიგო გამოსვლის ფონზე, შინაურ შეჯიბრში კინაღამ სირცხვილი ჭამა. ერთხანს გუნდი მეხუთე ადგილამდეც დაქვეითდა, რასაც მწვრთნელის, ლეო ბეენჰაკერის გადადგომა მოჰყვა. მისმა შემცვლელმა ზენკ ვან სტეემ როტერდამელებს ერთი კარგი საქმე მაინც გაუკეთა, გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა და შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. თუმც, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ფეიენოორდის“ მესამეობა გარკვეულწილად „აიაქსის“ კრიზისმა განაპირობა.

ამსტერდამულ კლუბს მართლაც ძნელბედობის ჟამი უდგას. ბოლო დროს მისი საქმეები სულ უკან-უკან მიდის. სადღაა ის ლაღი, შემტევი ფეხბურთი, რომელსაც გუნდი თუნდაც ორი წლის წინ თამაშობდა. ლიდერი ფეხბურთელების ტრავმებს რომ თავი დავანებოთ (მათ შორის გამოსარჩევია ბერძენი ნიკოს მახლასი და ჩვენი შოთა არველაძე), „აიაქსმა“ მებრძოლი სული დაკარგა. წლეულს დაინტერესებულ ქართველ მაყურებელსაც შეეძლო ამსტერდამელთა თამაშების ხილვა. ვინც უყურებდა, დაგვეთანხმება, რომ ბრაიან ლაუდრუპის გარეშე ეს გუნდი გუნდი არაა. თუ ლაუდრუპს თამაში წაუვიდა, სხვებიც ცოცხლდებიან, თუ არა და... ოდინდელი გრანდი აუტსაიდერებსაც ველარ უმკლავდებოდა. ასეთი კრიზისის ფონზე ბუნებრივი იყო, როცა მწვრთნელი იან ვოუტერსი ჰანს ვესტერჰოფმა შეცვალა, ზაფხულიდან კი გუნდს „ტილბურგის“ მწვრთნელი კო ადრიანსე ჩაიბარებს. ვესტერჰოფმა თითქოს გამოაფხიზლა მიძინებული „აიაქსი“, მაგრამ იმდენი მოახერხეს, ბოლო ხუთ ტურში მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს, „უტრეხტთან“ და „ვიტესთან“ შეხვედრებში სამ-სამი გოლი გაუშვეს და მეხუთე ადგილზე დარჩნენ, რომელიც მხოლოდ უეფას თასზე თამაშის უფლებას იძლევა.

სეზონის აღმოჩენა კი უდავოდ „ჰერენვენია“. „ტილბურგის“ შარშანდელი გმირობისა არ იყოს, მოკრძალებული „ჰერენვენი“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. მისი მწვრთნელი ჰოპე დე ჰანი ასეთ თავბრუდამხვევ წარმატებას, ალბათ, სიზმარშიც ვერ ნახავდა. ლიგის საგზური „ჰერენვენმა“ ჩემპიონატის დამთავრებამდე ტურით ადრე მოიპოვა, როცა შინ, 14 ათასი ერთგული ქომაგის თანდასწრებით, „დენ ბოსხთან“ 1:1 ითამაშა. საინტერესოა, რომ ნამატჩევს გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად მოლიანად „ჰერენვენი“ დაასახელეს. ალალიც იყო...

ბოლოს არნემის „ვიტესზეც“ ვთქვათ. იანვარში გუნდი ბარსელონიდან წამოსულმა რონალდ კუმანმა ჩაიბარა და საქმეც აეწყო. ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდმა პიერ ვან ჰოიდონკმა გატანას უმატა და მეგოლეთა დავაში 25 ბურთით მეორე ადგილი დაიკავა. ვიტესელებს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად სულ ცოტა დააკლდათ...

ჰოლანდიაში გუნდებს ოდითგან ასე ყობდნენ: დიდი სამეული („აიაქსი“, პსვ, „ფეიენოორდი“) და სხვები. ბოლო ორი სეზონი კი განსხვავებულ და ცოტა უცნაურ სურათს ხატავს: „ტილბურგი“, „ჰერენვენი“, „ვიტესი“... ვითომ შემთხვევითია მათი აღზევება?

სოლომონ გულისაშვილი



ჰოლანდიელთათვის დამაშვრალი ბელგიელები: ლუკ ნილისი და ერიკ გერეტსი

ძველ მეტოქეთა დაპირისპირება: ფეიენოორდელი პოლ ბოსველტი აიაქსელ კრისტიან ჩივუს იჭერს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	გ	ფ	წ	ბ	ქ
1 პსვ		0:1	0:1	3:2	4:0	2:2	5:1	2:0	6:1	2:1	7:1	2:1	7:0	6:0	2:0	4:1	1:0	7:0	34	27	3	4	105:24	84
2 ჰერენვენი	0:3		3:0	1:3	1:1	0:0	3:0	5:1	2:4	1:0	4:1	3:0	3:1	2:0	1:0	3:1	4:1	1:1	34	21	5	8	65:36	68
3 ფეიენოორდი	1:0	3:1		0:0	1:1	1:1	5:3	2:1	1:0	1:2	1:2	1:0	1:2	0:0	2:1	3:0	4:0	3:0	34	18	10	6	66:42	64
4 ვიტესი	1:6	3:1	3:3		3:0	4:1	0:2	2:0	3:1	3:1	2:1	2:2	2:1	3:1	5:1	6:2	1:0	1:0	34	18	9	7	67:43	63
5 აიაქსი	1:3	3:2	2:2	3:1		0:1	4:1	1:2	3:1	2:0	1:2	4:1	3:2	2:1	5:2	1:0	3:1	6:1	34	18	7	9	72:51	61
6 ტვენტე	1:3	2:0	3:3	0:0	0:0		4:1	2:1	4:0	4:2	1:0	1:0	3:2	4:0	4:2	1:2	1:0	3:2	34	16	12	6	57:37	60
7 ალკმარი	0:3	0:1	0:0	0:1	1:2	2:1		1:2	2:2	0:1	4:0	2:0	4:0	2:0	1:1	2:0	4:0	2:0	34	17	4	13	69:59	55
8 როდა	1:2	0:2	2:1	0:1	3:0	3:2	3:2		3:4	3:2	1:2	3:0	4:1	2:3	4:3	3:1	3:1	3:0	34	16	7	11	62:53	55
9 ტილბურგი	0:0	2:3	2:1	0:4	3:6	1:1	3:1	2:2		4:3	2:1	2:2	0:0	5:3	3:1	1:0	1:4	2:1	34	13	9	12	55:65	48
10 უტრეხტი	1:1	2:2	3:4	2:0	3:1	1:0	3:3	1:2	1:1		4:1	2:1	3:1	2:1	1:0	2:0	1:2	2:1	34	14	4	16	55:61	46
11 ვალვაიკი	1:6	0:1	2:2	1:1	1:[illegible]	1:1	1:2	2:2	1:0	2:0		0:3	2:1	2:1	4:2	0:4	3:2	1:1	34	12	6	16	44:67	42
12 სიტარდი	0:4	0:1	2:3	3:3	2:[illegible]	2:2	1:2	1:2	2:0	3:0	0:2		3:2	1:1	2:2	3:1	4:1	1:1	34	10	8	16	47:54	38
13 სპარტა	0:2	2:1	1:3	1:1	1:2	1:1	3:6	1:2	0:2	3:0	3:1	2:3		2:1	1:0	3:0	1:2	3:2	34	11	4	19	48:75	37
14 გრაიფსხაპი	1:2	1:1	0:1	2:2	1:1	0:0	2:5	0:0	0:2	1:2	2:0	1:0	2:3		2:2	2:1	3:1	3:0	34	8	9	17	41:60	33
15 ნაიმეგენი	2:1	0:4	0:2	1:0	1:3	0:1	1:2	0:0	2:1	0:1	3:1	1:2	0:1	2:3		1:0	1:0	2:0	34	7	6	21	35:62	27
16 მაასტრიხტი	0:2	1:3	3:3	0:2	2:6	0:2	3:4	0:0	1:1	4:1	0:1	1:0	2:2	0:2	2:0		1:1	2:0	34	6	7	21	38:68	25
17 კამბური	0:1	0:2	2:3	1:1	0:3	1:3	2:4	2:2	0:1	4:3	2:1	0:0	0:1	1:0	0:0	2:2		1:2	34	6	7	21	35:66	25
18 დენ ბოსხი	2:6	0:2	0:4	2:1	1:1	0:0	2:3	2:2	1:1	3:2	0:3	0:2	7:0	1:1	1:1	1:1	1:1		34	4	11	19	36:74	23

კახა შენგელიას სუპროლიგის შანსი გაუჩნდა

უნგრეთის ქალაქ პეჩში, ნბა-ს წინასადრაფტო შეკრებაზე მყოფმა დავით მუშკუდიანმა სამშობლოსა და მეგობარ-ახლობლების ნოსტალგია ნაწილობრივ თვისტომ კახა შენგელიას ნახვით გაიქარვა. ყოველწლიურად უნგრეთში ტრადიციად ქცეული შეკრება ეწყობა-ხოლმე, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კალათბურთელები და მზვერავები ჩადიან. იქ გახლდათ კახა შენგელიაც, რომელიც ორი დღის წინ დაბრუნდა უნგრეთიდან. პეჩში ჩვენებური დამკვირვებლებს აწონებდა თავს და რაც გაშოუვიდა, ამაზე გუშინ „სარბიელს“ უამბო:

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

— თუ არ ვცდები, უკვე მეორედ იყავით მსგავს შეკრებაზე...

— ასეა, უნგრეთში შარშანაც გახლდით. ასეთ შეკრებაზე გამგზავრება კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ ნორმალურ ევროპულ კლუბში მოხვდე. ჩემი სურვილიც ესაა.

— იქ წასვლის უფლება ყველას აქვს?

— ადგილები შეზღუდულია, თავად უნდა მიგიწვიონ, ანაც მენეჯერმა უნდა გაჩარხოს საქმე.

— გამოდის, ნიკოლაი ტენევი მართლაც დიდ ინტერესს იჩენს ქართველი კალათბურთელებისადმი. მუშკუდიანისა არ იყოს, თქვენი მენეჯერიც ხომ იგია...

— დიახ, ბულგარელი ტენევი ჩემი აგენტიცაა. სწორედ მან შემომთავაზა უნგრულ შეკრებაში მონაწილეობა, თუმც ბოლო მომენტამდე არ იცოდა ჩემი პასუხი. გარკვეული პრობლემები შემექმნა და შესაძლებელი იყო, საერთოდ ვერ ჩავსულიყავი პეჩში.

— რის მიხედვით არჩევენ მოთამაშეებს ამ შეკრების ორგანიზატორები?

— კალათბურთელზე ყველანაირი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ, ზედმიწევნით უნდა იცოდნენ, რა უკეთებია, სად უთამაშია. ჩემი მონაცემები ჯერ კიდევ შარშან შეიტყვეს, ასე რომ, მათთვის უცხო სულაც არ ვიყავი. გარდა ამისა, მე სატრანსფერო ფირმა „კორტ საიდს“ ვეკუთვნი და ამასაც ანგარიში გაუწიეს.

— სულ რამდენი კალათბურთელი შეიკრიბა პეჩში?

— მოთამაშე 85 იყო, მზვერავი კი ასე 150-მდე. დამკვირვებელთა შორის იყვნენ ხომიჩუსი, ტარაკანოვი, ერიომინი. ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემი მწვრთნელი გახლდათ, ძალიან გულთბილად შემხვდა, მცირე ხნით ვისაუბრეთ კიდეც.

— როგორც ვიცით, თქვენ და მუშკუდიანი ერთსა და იმავე სასტუმროში და ნომერში ცხოვრობდით. ერთად თამაშმაც ხომ არ მოგიწიათ?

— არა. ვინც წინასადრაფტო შეკრებაზე გამოიძახეს, ისინი ცალკე იყვნენ, ჩვენ — ცალკე. მოედანზე დათოს არ შევხვედრივარ, ერთად კი იმიტომ ვცხოვრობდით, რომ თავად გამოვთქვით ამის სურვილი. სხვასთან ოთახის გაყოფას, ცხადია, მუშკუდიანთან ყოფნა მერჩივნა, დათოც ასე ფიქრობდა.

— მისი თამაშის ნახვა თუ მოახერხეთ?

— დიახ, ძალიან მოუმატებია. არ მეგონა, თუ ასე გაძლიერდებოდა.

— მოდით, ახლა თქვენს ამბებს დავუბრუნდეთ. როგორ ჩაიარა შეკრებამ?

— შეიქმნა რვა გუნდი და ერთმანეთში ვთამაშობდით, დღეში თითო მატჩს ვმართავდით. მხოლოდ პირველ დღეს ვივარჯიშეთ, მერე კი სულ თამაშები იყო. მე ეგრეთ წოდებულ ლიტველების გუნდში გამოვდიოდი, ჩემს გარდა იქ სულ ბალტიისპირელები იყვნენ. ერთი გუნდი ხორვატებისგან დააკომპლექტეს, ერთიც — იუგოსლავიელებისგან. იყო შერეული გუნდებიც.

— თქვენი მწვრთნელი ვინ იყო?

— ჩემთვის სრულიად უცნობი ლიტველი უძღვებოდა ჩვენს თამაშს.

— ახლა მატჩებზეც გვიამბეთ...

— მე მხოლოდ ორ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. ფეხი ვიტკინე და მერე აღარ მითამაშია. ამ მიზეზით მეორე მატჩშიც, იუგოსლავიასთან, მხოლოდ 12 წუთი დავყავი მოედანზე, ამ ხნის მანძილზე 7 ქულა და თუ არ ვცდები, ამდენიმე მოხსნა მივითვალე. პირველ შეხვედრაში, ხორვატიასთან, რომელიც მოვიგეთ 18 წუთი ვითამაშე, მოვაგროვე 9 ქულა და რვაჯერ მოვხსენი ბურთი. ყველაზე მეტად კი ის მესიამოვნა, რომ კალათბურთელს, რომელსაც ვიჭერდი, ქულა საერთოდ არ გაუკეთებია.

— შეკრების მონაწილეთა საერთო დონეს როგორ შეაფასებდით?

— იქ არავითარ შემთხვევაში არ წავალ. ხომ გითხარით, ძალიან ცუდ დღეში არიან. მე კი, იმ ასაკში აღარ ვარ, რომ ენთუზიაზმით ვერთამაშო.

— მახსოვს, ადრე მითხარით, ასევე უნგრული, თბილისში „ვითასთან“ ნათამაშევი „კიორმენდი“ ცდილობდა ჩემს გადაბირებასო...

— ახლაც დიდი სურვილი აქვს „კიორმენდის“ ხელმძღვანელობას, რომ მათთან გადავიდე. იქ ყოფნისას კონკრეტული წინადადებაც შემომთავაზეს.

— ფიქრობთ?

— დიახ, მაგრამ ძალიან არ მინდა, კარიერა უნგრეთში გავაგრძელო.

— რატომ, იქაური დონე არ გაკმაყოფილებთ?

— არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, უნგრელებს ერთ-ერთი ძლიერი ჩემპიონატი აქვთ, მაგრამ იქაურ კლუბთა მუშაობაში ძალიან დიდი ხარვეზებია, თავიანთ საქმიანობას ცუდად აწარმოებენ და ფინანსურ სიძნელეებსაც უცოდინარობის გამო იქმნიან. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გამოუცდელები არიან. ჩემს შემთხვევაში საქმე ფულსაც ეხება და ასეთ ხალხთან ურთიერთობის დამყარება ხელს არ მაძლევს.

— მაშ, რას აპირებთ?

— უახლოეს ორ კვირაში, ვფიქრობ, ბევრი რამ გაირკვევა. მალე ტენევიც დამირეკავს, ის უფრო ზუსტად მეტყვის ყველაფერს. ისე კი, სხვა კლუბებიდანაც არის შემოთავაზებები, მაგრამ წინასწარ საუბარი არ მსურს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩემი ყოფილი გუნდი, პოლონური „ცეპტერია“. უნგრეთში ყოფნისას ამ კლუბის მწვრთნელიც ვნახე.

— „ცეპტერში“ გადასვლით სუპროლიგაში თამაშის შესაძლებლობა მოგეცემათ. ამ გუნდმა ხომ წლეულს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ასპარეზობის უფლება მოიპოვა...

— სუპროლიგაში თამაშის პერსპექტივა მეც ძალიან მხიბლავს, მაგრამ ერთ წინააღმდეგობას ვაწყდები და „ცეპტერში“ გადასვლა შესაძლოა ამ მიზეზით ვიუარო. ამ პოლონურ კლუბს ძალიან ძლიერი და კარგი ცენტრი ჰყავს, თუ „ცეპტერში“ აღმოვჩნდი, მასზე წინ არ დამაყენებენ და მხოლოდ შემცვლელად მათამაშებენ. მე კი სათადარიგოებში ყოფნა ძალიან მაღიზიანებს.

— რაც უნდა ვთქვათ, ერთი რამ ცხადია — საქართველოში დარჩენას ნამდვილად არ აპირებთ...

— სანამ უცხოეთში თამაშის შანსი მაქვს, უნდა გამოვიყენო. ეს ჩემთვისაც კარგი იქნება და საქართველოს ნაკრებისთვისაც, თუ, რა თქმა უნდა, იქ გამომიძახებენ. თუ არადა, პირადად მე უცხოურ კლუბში ყოფნით არაფერს წავაგებ.

გიორგი ბიძაშვილი

ოცდამეორე ჯეკსონი



ფილ ჯეკსონი ამ სეზონის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალში გაიყვანა. ცხადია, ჯეკსონს უფრო მეტისთვისაც შიულწევია, სხვა თუ არაფერი, „ჩიკაგო ბულზი“ ექვსჯერ გააჩემპიონა. თუმცა, „ლეიკერსის“ ფინალში გაყვანით ჯეკსონი კიდევ ერთი მიღწევის თანამონაწილე გახდა: იგი 22-ე მწვრთნელია, ვინც ამა თუ იმ გუნდში სადებიუტო სეზონი ფინალში გასვლით აღნიშნა. გთავაზობთ ამგვარი მწვრთნელების სიას.

გუნდში სადებიუტო სეზონისას ფინალში გასული მწვრთნელები

მწვრთნელი	გუნდი	სეზონი	ფინალის შედეგი
ჰაროლდ ოლსენი*	ჩიკაგო სტეგზი	1946-47	წააგო ფილადელფია ვორიორზთან 1:4
ედი გოტლიბი*	ფილადელფია ვორიორზი	1946-47	მოუგო ჩიკაგო სტეგზს 4:1
ბადი ჯინეტი	ბალტიმორ ბულიტსი	1947-48	მოუგო ფილადელფია ვორიორზს 4:2
ჯონ კუნდლა	მინეაპოლის ლეიკერსი	1948-49	მოუგო ვაშინგტონ კეპიტოლზს 4:2
ალ სერვი	სირაკუზ ნეშნელზი	1949-50	წააგო მინეაპოლის ლეიკერსთან 2:4
ჩარლზ ეკმანი	ფორტ უეინ პისტონზი	1954-55	წააგო ფილადელფია ვორიორზთან 1:4
ჯორჯ სენესკი	ფილადელფია ვორიორზი	1955-56	მოუგო ფორტ უეინ პისტონზს 4:1
ალექს ჰანუმი	სენტ ლუის ჰოქსი	1956-57	წააგო ბოსტონ სელტიქსთან 3:4
პოლ სეიმური	სენტ ლუის ჰოქსი	1960-61	წააგო ბოსტონ სელტიქსთან 1:4
ალექს ჰანუმი	სან ფრანცისკო ვორიორზი	1963-64	წააგო ბოსტონ სელტიქსთან 1:4
ბილ შარმენი	სან ფრანცისკო ვორიოზი	1966-67	წააგო ფილადელფია 76-თან 2:4
ბილ ვან ბრედა კოლფი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1967-68	წააგო ბოსტონ სელტიქსთან 2:4
ჯო მულანი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1969-70	წააგო ნიუ იორკ ნიქსთან 3:4
ბილ შარმენი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1971-72	მოუგო ნიუ იორკ ნიქსს 4:1
ჯეკ რემზი	პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი	1976-77	მოუგო ფილადელფია 76-ს 4:2
ლენი ვილკენსი	სიეტლ სუპერსონიქსი	1977-78	წააგო ვაშინგტონ ბულიტსთან 3:4
პოლ ვესტჰედი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1979-80	მოუგო ფილადელფია 76-ს 4:2
პატ რაილი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1981-82	მოუგო ფილადელფია 76-ს 4:2
კეი სი ჯონსი	ბოსტონ სელტიქსი	1983-84	მოუგო ლოს ანჯელეს ლეიკერსს 4:3
მაიკ დანლივი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1990-91	წააგო ჩიკაგო ბულზთან 1:4
პოლ ვესტფოლი	ფინიქს სანზი	1992-93	წააგო ჩიკაგო ბულზთან 2:4
ფილ ჯეკსონი	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1999-2000	?

*1946-47 წლების სეზონი პირველი იყო ნბა-ში

ალექო დავითულიანი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დავითულიანი ფინალში თამაშს აპირებს

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალისტი, ბათუმის „ბასკო“, გუშინ ზღვისპირეთიდან თბილისს გამოემგზავრა. დღეს საღამოს გუნდი პირველად ივარჯიშებს ქვეყნის უმთავრეს საკალათბურთო სარბიელზე — სპორტის სასახლეში, 10 ივნისიდან კი შეკრებაზე გადავა — ბათუმელები ნაძალადევის ტერიტორიაზე მდებარე სასტუმრო „ოდა“-ში დაბინავდებიან.

სდასუ-სთან პლეი ოფის ნახევარფინალის მეორე მატჩში დაშავებული ბასკელის, ალეკო დავითულიანის სადღეისო მდგომარეობა, გუნდის მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძის თქმით, არცთუ საგანგაშოა. მოგეხსენებათ, „ბასკოს“ უკანასკნელს მენჯ-ბარძაყის სახსრის დაჭიმულობა დაუდგინეს ექიმებმა და თავდაპირველად სიარულიც კი აუკრძალეს. ახლა ნელ-ნელა ფეხი აუდგამს დავითულიანს, კოჭლობს, თუმც ყავარჯენი არ სჭირდებაო, გვითხრა ტომარაძემ. მწვრთნელს დიდი იმედი აქვს, რომ ფინალურ სერიამდე (13 ივნისს იწყება) კალათბურთელი საბოლოოდ მომჯობინდება, პირველი მატჩის გამოტოვებაც რომ მოუხდეს, ამაზეც თანახმა ვარო, — ამბობს.

სხვა მხრივ, „ბასკოში“ ყველაფერი წესრიგშია. მხოლოდ ესაა, რომ რუს ლეგიონერ ანტონ არხიპოვს გრიპი შეჰყრია და ბოლო დღეებია, აღარ ვარჯიშობს. მას უკვე ვუწამლეთ და სრულფასოვან წვრთნას თბილისში შეუდგებაო, დასძინა ზურაბ ტომარაძემ.

კახა შუბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპული ამბები

საბერძნეთი

ივკოვიჩი ცაკალიდისს შემოსწყრა

საბერძნეთის ნაკრების ცენტრი იაკოვოს ცაკალიდისი ამჟამად კანადაშია და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ვანკუვერ გრიზლიზში“ ისინჯება. გუნდის ახალდანიშნული მწვრთნელი სიდნი ლოუ მეტად კმაყოფილია კალათბურთელის მონაცემებით და აცხადებს „პირველივე ვარჯიშისას ცხადი გახდა, რომ იაკოვოსი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. სხვა საქმეა, როგორ აუღებს ალღოს ნბა-ს კალათბურთს“. შეგახსენებთ, რომ ცაკალიდისი ნბა-ს დრაფტზეა წარდგენილი. „ვანკუვერს“ დრაფტში (28 ივნისს გაიმართება მინეაპოლისში) მეორე არჩევანის უფლება აქვს და, სავარაუდოდ, ბერძენ ცენტრს ხელიდან არ გაუშვებს.

ცაკალიდისი ჯერ კიდევ ათენის აეკ-ის საკუთრებაა. ამ გუნდის იუგოსლავიელი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი გაბრაზებულია, რადგან თვლის, რომ კალათბურთელი უპასუხისმგებლოდ მოიქცა და კანადაში თვითნებურად გაემგზავრა: „არც ცაკალიდისს და არც მის აგენტს ჩემთვის არაფერი უთქვამთ. არადა, თვით დრაჟენ პეტროვიჩმა და ვლადე დივაცმა ნბა-ში წასვლის ნებართვა ჩემგან აიღეს. ვეჭვობ, ვიღაც ტვინს ურევს ცაკალიდისს და თავნებობას ურჩევს. ეს კალათბურთელი აეკ-ს ეკუთვნის და კლუბის ხელმძღვანელობას ძლიერი გუნდის შენარჩუნება აქვს გადაწყვეტილი. საკმარისია ჩემი ერთი სიტყვა და ცაკალიდისი ნბა-ში ვერ წავა, აეკ-ის ხელმძღვანელობა პირველ რიგში ჩემს აზრს გაითვალისწინებს“.

21 წლის და 218-სანტიმეტრიანი, სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი ცაკალიდისი ყურად არ იღებს ივკოვიჩის მუქარას და კანადაში ვარჯიშს განაგრძნობს.

პარისიდან ჰაოკ-ში

ამ მოძრაობამ ლიადელისის მუხლი და მანქანა შეიწირა

სალონიკის პაოკ-ს გაძლიერება გადაუწყვეტია და ამისთვის შემადგენლობას საფუძვლიანად ახალისებს. ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გუნდმა დაითხოვა ფორვარდი დინოს ანგელიდისი, რომელსაც თავის დროზე საბერძნეთის ნაკრებშიც უთამაშია. 31 წლის ანგელიდისი, რომელიც შარშან სალონიკისვე „არისს“ კაპიტნობდა, ვერ მოერგო ახალ გუნდს, რისთვისაც კონტრაქტი აღარ განუახლეს.

პაოკ-მა „არისის“ ახლანდელ კაპიტანს, საბერძნეთის ნაკრების უკანახაზელ პანაიოტის ლიადელისს დაადგა თვალი და თავისთანაც გადაიყვანა. ლიადელისმა პაოკ-თან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც 2,5 მილიონ დოლარს მიიღებს. მოგეხსენებათ, პაოკ-ის და „არისის“ გულშემატკივრები ერთმანეთს ვერ იტანენ, ჰოდა არისელთა ოცამდე გაგიჟებულმა ფანმა ლიადელისზე შურისძიება გადაწყვიტა, აქაოდა მოსისხლე გუნდში როგორ გადახვედიო. ლიადელისი ღამე პაოკ-ის პირველი ვარჯიშიდან შინ ბრუნდებოდა. ხულიგნები სახლთან დახვდნენ, ცემა დაუპირეს. კალათბურთელმა სახლში შეკეტვა მოასწრო, მაგრამ მანამდე ქვა მოხვდა ფეხში და მუხლი დაიზიანა. ლიადელისი რომ ვერ მოიხელთა, ბრბომ მისი მანქანა დალეწა და პოლიციის მოსვლამდე გაუჩინარდა.

დიდი შანსია, ლიადელისის ბედი გაიზიაროს საბერძნეთის ნაკრების ფორვარდმა გიორგოს სიგალასმა, რომელმაც „არისიდან“ პაოკ-ში გადაინაცვლა. სიგალასს კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ ახალ გუნდში გადასულად შეიძლება ჩაითვალოს.

პაოკ-მა შეინარჩუნა იანის იანულისი. საბერძნეთის ნაკრების ცენტრი დათანხმდა ახალ, სამწლიან კონტრაქტს, რომლის დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია. იანულისის გადაბირება პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ და ათენის „პანათინაიკოსსაც“ სურდათ.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

1997 წლის 26 თებერვალი.
საქართველო — საბერძნეთი.
გიორგოს სიგალასი (მარჯვნივ) გია სანაძის წინააღმდეგ

იოანიდისის წლისთავზე

ოლიმპიაკოსი ტანიევიჩს ელაპარაკება

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

1999 წლის თებერვალში ბოგდან ტანიევიჩი
იტალიის ნაკრებს ა[illegible]ლისში ჩამოუძღვა

პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ მთლად კარგი სეზონი ვერ ჰქონდა. გუნდი სამარცხვინოდ გამოვარდა ევროლიგიდან, საბერძნეთის ჩემპიონატში ძლივს დაიკავა მესამე ადგილი და ნაადრევად გამოეთიშა ქვეყნის თასისთვის ბრძოლას. ერთადერთი, რითაც პირეოსელებმა გაიხარეს, სუპროლიგის საგზურის მოპოვება იყო, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას ეს ეცოტავა და განტევების ვაციც მალე გამოინახა.

„ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტმა სოკრატის კოკალისმა ყველაფერი მწვრთნელ იანის იოანიდისს დააბრალა და წერილი გაუგზავნა, თავისუფალი ხარო. ეს ამბავი 2000 წლის 2 ივნისს მოხდა. ზუსტად ერთი წლის წინ, 1999 წლის 2 ივნისს, იოანიდისმა „ოლიმპიაკოსთან“ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. პირეოსიდან გამოგდებულ მწვრთნელს უმალ შეეხმიანა სალონიკის პაოკი და სამუშაოდ მიიწვია.

კოკალისმა იოანიდისის შემცვლელის ძებნა დაიწყო. თავდაპირველად „ოლიმპიაკოსის“ მეორე მწვრთნელზე, 37 წლის ელიას ზუროსზე შეაჩერა არჩევანი. მერე გადაიფიქრა, რადგან ზუროსს არასდროს უმუშავია მთავარ მწვრთნელად — „სპორტინგში“, „მარუსიში“, „პერისტერიში“ და საბერძნეთის ნაკრებში იგი მეორე მწვრთნელი იყო.

ამ დღეებში კოკალისმა იტალიაში გააგზავნა „ოლიმპიაკოსის“ მენეჯერი ტაკის ლივიერატოსი და ბოგდან ტანიევიჩთან მოლაპარაკება დაავალა. ბოსნიური წარმოშობის ტანიევიჩი ამჟამად იტალიის ნაკრებს წვრთნის და სიდნეის ოლიმპიადისთვის ამზადებს. შეგახსენებთ, რომ ამ სპეციალისტმა იტალია შარშან ევროპის ჩემპიონი გახადა. ლივიერატოსი და ტანიევიჩი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ რა მოილაპარაკეს, ჯერჯერობით უცნობია.

ბერძნული პრესის მიხედვით „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელობის კანდიდატებად აგრეთვე განიხილებიან ებრაელი ზვი შერფი, რომელიც ერთ დროს სალონიკის „არისს“ და ისრაელის ნაკრებს წვრთნიდა; სლოვენიელ-ბერძენი სლობოდან სუბოტიჩი; მოსკოვის ცსკა-დან ახლახან წამოსული, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი სტანისლავ ერიომინი და საბერძნეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, წარსულის დიდი მოთამაშე პანაიოტის იანაკისი.

იუგოსლავია

დივაცის მიზეზი საპატიოა, რადოევიჩს თავში ქვა უხლიათ

იუგოსლავიის ნაკრები 15 ივნისს მზადებას იწყებს სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის. ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონები და ატლანტის ოლიმპიადის პრიზიორები „საკრამენტო კინგზის“ ვლადე დივაცს და „ტორონტო რეპტორზის“ ალექსანდრ რადოევიჩს მოისაკლისებენ. პირველმა ოჯახური მიზეზების გამო იუარა ოლიმპიადაზე თამაში, აქაოდა, ცოლ-შვილს ისედაც მოწყვეტილი ვარ და სიდნეიში რომ ვითამაშო კიდევ სამი თვით უნდა მივატოვო. რადოევიჩმა კი უარი არაფრით დაასაბუთა.



ჟელკო ობრადოვიჩი

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი ამ დღეებში ბელგრადში ჩავიდა და პრესკონფერენცია გამართა. ობრადოვიჩი დივაცისა და რადოევიჩის თემასაც შეეხო და თქვა: „დივაცის მიზეზი გასაგებია. უმძიმესმა სეზონმა იგი გადაღალა და ახლა ოჯახთან ყოფნა სურს. ამაში გასაკვირი არაფერია. ყველამ ვიცით, რამდენი რამ გაკეთა ვლადემ ჩვენი ქვეყნისთვის, იგი იუგოსლავიის სამგალითო შვილია და არავის აქვს უფლება იგი გააკრიტიკოს.

რადოევიჩის საქციელმა კი გამოაცა. შარშან მეტად რთულ სიტუაციაში იყო: „ტორონტო რეპტორზმა“ იგი დრაფტში აიყვანა, ხოლო ყოფილი კლუბი, „ბუდუჩნოსტი“ ამერიკაში არ უშვებდა. რადოევიჩმა დაახლოებით 30-ჯერ დამირეკა და დახმარება მთხოვა. დავეხმარე, ახლა კი იგი ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს. ჯერ ერთი, იგი მხოლოდ ნაკრების კანდიდატი იყო, რაც ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის გარანტია არ გახლავთ. მეორეც, ნაკრებში თამაშს არავის ვაძალებთ, ეს ნებაყოფლობითია. რადოევიჩს ეროვნულ გუნდში თამაში არ უნდა. კი ბატონო, ეს მისი გზაა, მისი არჩევანია. რაც უნდა, ის გააკეთოს.“

ამის შემდეგ ობრადოვიჩმა ნაკრებს ოლიმპიადისთვის მზადების გეგმა წარუდგინა იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციას და ეროვნული გუნდისთვის ახალი კანდიდატების შერჩევის მიზნით ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის საგანგებო შეკრება დანიშნა.

ესპანეთი

იასიკევიჩუსი ბარსელონაში

ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში მადრიდის „რეალთან“ დამარცხების მომდევნო დღეს, „ბარსელონამ“ ახალი მოთამაშე აიყვანა. ლიტვის ნაკრების უკანახაზელმა შარუნას იასიკევიჩუსმა კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. იასიკევიჩუსი ამერიკელ ენტონი გოლდვაიერს შეცვლის, რომლის თამაშითაც „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო.

იასიკევიჩუსი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია. წინა სეზონი ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ გაატარა. კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ლიტველი კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდა და მასზე ნადირობა ბევრმა გუნდმა გააჩაღა. ყველაზე მეტად პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ აქტიურობდა, მაგრამ „ბარსელონამ“ დაასწრო.

საბერძნეთი

ალვერტისი და კატაში პანათინაიკოსში დარჩნენ

საბერძნეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ქვეყნის ჩემპიონმა და წლევანდელი ევროლიგის მომგებმა ათენის „პანათინაიკოსმა“ ტრანსფერებისთვის მოიცალა. კლუბს ჯერ არავინ აუყვანია, რამდენიმე მოთამაშე შეინარჩუნა, რამდენიმე — დაითხოვა.

შენარჩუნებულთა შორისაა გუნდის კაპიტანი, 26 წლის ფრაგისკოს ალვერტისი. „პანათინაიკოსის“ მფლობელმა პავლოს იანაკოპულოსმა არსად გაუშვა კაპიტანი და ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ ოთხწლიან კონტრაქტზე დაითანხმა. ამ ხნის განმავლობაში ალვერტისი 3,9 მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს, ერთ სეზონში — თითქმის მილიონს. ამ გარიგების შემდეგ ალვერტისი ყველაზე დიდხელფასიანი ბერძენი კალათბურთელი გახდა.

ებრაელმა ოდედ კატაშმა შესანიშნავად ითამაშა ყოფილი გუნდის, თელ ავივის „მაკაბის“ წინააღმდეგ ევროლიგის ფინალში. ამ მატჩის შემდეგ „მაკაბის“ კატაშის დაბრუნება მოუნდა, მოლაპარაკებაც გააბა კალათბურთელთან, მაგრამ უშედეგოდ. მერე გამოჩნდა იტალიური „სიცილია-ბარსელონა“, რომელიც წლეულს აღზევდა ქვეყნის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში და რომელმაც ებრაელ კალათბურთელს წლიურ ხელფასად ნახევარი მილიონი დოლარი შესთავაზა. „პანათინაიკოსმა“ კი კატაშს 10 პროცენტით მოუმატა ხელფასს, რითაც იგი გუნდში დაიტოვა. მომავალ სეზონში ებრაელი კალათბურთელი 1,25 მილიონ დოლარს მიიღებს.

ოდედ კატაში ჩემპიონთა თასით

„პანათინაიკოსმა“ დაითხოვა უკანახაზელი ნიკოს ბუდურისი, ფორვარდი გიორგოს კარაგუტისი და ცენტრი კონსტანტინოს მაგლოსი. სამივე მათგანით უკვე დაინტერესდა რამდენიმე ბერძნული გუნდი.

ბოგეგა საჩუქრად

REUTERS/ პარი ბიდან

მარი პირსი

ქალები. მეოთხედფინალი: მარი პირსი (6, საფრანგეთი) — მონიკა სელეში (3, აშშ) 4:6, 6:3, 6:4.

მარი პირსს ფრანგ მაყურებელთან ყოველთვის რთული და არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა — თუ კარგად თამაშობდა და წინ მიიწევდა, ყველა გულშემატკივრობდა, მაგრამ საკმარისი იყო, ცოტა აერია, რომ კორტის დატოვება სტვენა-ღრიალის თანხლებით უხდებოდა.

ყველაფერს მიხვდებით, თუ ჩოგბურთელის პასპორტში ჩაიხედავთ — კანადაში დაბადებული, ნახევრად ამერიკელი და ნახევრად შერეკილი მამის პატრონი პირსი ფლორიდაში ცხოვრობს და ორმაგი მოქალაქეობაც აქვს. პროფესიული კარიერის დასაწყისში ის აშშ-ის სახელით ასპარეზობდა და მხოლოდ მოგვიანებით გადაერთო სამფეროვან დროშაზე.

„როდესაც ვიგებ, ფრანგი ვარ, როდესაც ვაგებ — ამერიკელი“ — მოკლედ და მარტივად ახსნა თანამემამულეთა ქცევა თავის დროზე თავად მარიმ.

მაგრამ წლეულს, მოულოდნელად და სრულიად უმიზეზოდ (თუ იმას არ ჩავთვლით, რომ პირსი ტურნირს შემორჩენილი უკანასკნელი მასპინძელია) ყველაფერი შეიცვალა — პარიზელებს ჩოგბურთელისადმი სიყვარულის საღერღელი აეშალათ.

აღფრთოვანებული ოხვრა ტრიბუნებს პირველად მაშინ აღმოხდათ, მარიმ ზედმეტი ჯაბა-ჯუბები რომ გაიხადა და ბარაქიან ტანზე შემოტმასნილი კაბა გამოაჩინა. ხოლო როდესაც პირველ სეტში ჰაერში ნახევარი მეტრით ამხტარმა ფეხებს შორის აბრაგანი დაარტყა, ზედ უკანა ხაზს დაასვა და ყურებამდე გაიღიმა, მაყურებლები საბოლოოდ და შეუქცევად დაიმონა.

ამათ მალე ფანატიკურად „მარი, მარის“ სიმღერა დაიწყეს და ერთი უტვინო იანკი, რომელმაც, „მიდი, მონიკას“ შეახება გაბედა, ყურისწამლები სტვენით დააჯილდოვეს და ალბათ, დიდი სიამოვნებითაც ჩაქოლავდნენ.

უიღბლო სელეშმა წინა წრეში ამელი მორესმოსა და 15 ათასი ფრანგის დამარცხება კი შეძლო, მაგრამ ზედიზედ ორჯერ მთელ ერს ვერ მოერევი.

ხარვეზებით სავსე პირველი ხელის შემდეგ პირსმა თავისი მკვლელი ფორჩენდი აამუშავა, ყუმბარა ყუმბარას მიაყოლა და ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი მესამე ხელის მეშვიდე გეიმი გამოდგა. მოულოდნელად განერვიულებულმა სელეშმა 3:3-ზე ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, დიდი წვალებით მოპოვებული უპირატესობა ქარს გაატანა და 1996-ის შემდეგ პირველად დატოვა ტურნირი ნახევარფინალზე ადრე.

„მაყურებლები შეუდარებლები იყვნენ. მათ მაშინაც კი არ მაქციეს ზურგი, როდესაც პირველი სეტი წავაგე. მიყვარს, როდესაც მჭომაგობენ და იმედია, კვლავაც ასე გაგრძელდება“ — განაცხადა პირსმა, რომელიც ერთ მომენტში ტრიბუნებზე მოწყობილ ტალღასაც კი აჰყვა.

ნახევარფინალში მხურვალე გულშემატკივრობა მარის განაღდებული აქვს — მისი მეტოქე ხომ პარიზელთა ძველი მტერი მარტინა ჰინგისი იქნება.

კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) — მართა მარერო (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:1.

მართა მაროროს სახელი ჯერ იქნებ არაფერს გეუბნებათ, მაგრამ 17 წლის ესპანელს მის სამშობლოში არანჩა სანჩეს-ვიკარიოსა და კონჩიტა მარტინესის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევენ.

მაროერო როლან გაროსის ისტორიაში მეორე ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც კვალიფიკაციის გავლის შემდეგ მეოთხედფინალს უწია. პარიზში მისთვის უკვე რიგით მერვე შეხვედრაში ნიჭიერი ესპანელი გადაღლილი იყო და ქუსლის ტრავმაც აწუხებდა, თუმცა სახელოვან თანამემამულეს პირველ სეტში საათზე მეტხანს გაუძალიანდა და უკმაყოფილოც არ დარჩენილა, ასეთ შედეგზე რამდენიმე დღის წინ ოცნება თუ შემეძლოო.

კაცები. მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) — ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) 6:3, 3:6, 4:6, 6:4, 6:2.

„მატჩის ბედი ჩემს ხელთ იყო და უბრალოდ, მოგება ისევ ხელიდან გავუშვი“ — დანანებით განაცხადა როლან გაროსის მეოთხედფინალში გუსტავო კუერტენთან კიდევ ერთხელ დამარცხების შემდეგ ევგენი კაფელნიკოვმა.

და მართლაც, ორი ყოფილი ჩემპიონის სამსაათიან უშელავათო ბრძოლაში პარიზელთა ფავორიტსა და საერთოდ, კარგ ბიჭ „გუგას“ უხასიათო და უემურმა ჟენიამ კლასით აშკარად ავჯობა.

კაფელნიკოვმა მეოთხედფინალამდე სამი ხუთსეტიანი შეხვედრა ჩაატარა და კორტზეც მეტოქეზე ოთხი საათით მეტხანს იყო, რის გამოც ფეხისგული ერთ გიგანტურ კოჟრად გადაექცა. მან ექიმის დახმარება ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე, მოთელვის შემდეგ ითხოვა, თუმც მოძრაობაში მისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

პირველ სეტში უამრავი შემოკლებულის მეტ-ნაკლები წარმატებით გამოყენების შემდეგ 26 წლის რუსმა ტაქტიკა შეცვალა და მეტოქეს გასაღები მოარგო. ის ბურთს კორტის შიგნით, აღმავალ ტრაექტორიაზე უხვდებოდა და თამაშის ტემპს მაქსიმალურად აჩქარებდა.

უკანა ხაზიდან რამდენიმე მეტრით უკან მოკალათებულ კუერტენს ერთიორად მეტი სირბილი უხდებოდა, თანაც საკუთარი მძლავრი დარტყმებისთვის ხეირიანად მოსამზადებლად დროც არ რჩებოდა.

თითქმის სრული სამი სეტის განმავლობაში კაფელნიკოვი უნაკლოდ, სრულყოფილად თამაშობდა: საფირმო ორხელა ბექჰენდს ხაზებზე სვამდა და მეტოქეს საპირისპირო სვლაზე იჭერდა, ბადესთანაც ხშირად გადიოდა და მეტად ტექნიკურად ირჯებოდა.

ასე გრძელდებოდა მეოთხე სეტის ბოლომდე, სანამ 4:2-სა და 40:15-ზე საკუთარ მოწოდებაზე სოჭელმა საფუძვლიანად არ აურია: „თავადაც არ ვიცი, რატომ, ზედმეტად მოვეშვი და რამდენიმე გათამაშებაში უგულისყურო გავისარჯე. ოდნავ არ გამიმართლა, რამდენიმე სანტიმეტრით ავაცილე ბურთები და უცებ ანგარიში 4:3 გახდა. მივხვდი, რომ მატჩში გარდატეხა შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, თუ ექვსი საკუთარი მოწოდებიდან ხუთს წავაგებდი“.

კუერტენმა ბოძებული შანსით შესანიშნავად ისარგებლა. თუ მანამდე განწირული გამომეტყველებით საკუთარ თავს ლანძღავდა, იქიდან მოყოლებული გუნება გამოუკეთდა, სამიზნეც გაისწორა და სოჭელს შავი დღე აყარა.

„ახლა წესით ბრაზილიაში უნდა მივფრინავდე. ნებისმიერი შეამჩნევდა, რომ ძალიან მიჭირდა. ის ჩემზე უკეთ თამაშობდა და წესით, უნდა მოეგო კიდეც. არც კი ვიცი, რატომ შეიცვალა ყველაფერი და როგორ გადავრჩი“ — აღიარა მატჩის შემდეგ „გუგამ“.

„ახლა იმაზე ვფიქრობ, რა აზრი ჰქონდა წინა მარათონული შეხვედრების მოგებას, თუ ტურნირს ასე სულელურად დავასრულებდი. არადა, ასე კარგად დიდი ხანია, არ მითამაშია. მხოლოდ შედეგით ვარ იმედგაცრუებული“ — ეს უკვე კაფელნიკოვის სიტყვებია.

ხუან კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) — ალეჯს კორეტხა (10, ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:2.

ორი მოთიხნარე ესპანელის მოსაწყენ და ერთფეროვან დუელში 20 წლის ხუან კარლოს ფერერომ ვარსკვლავობა ოფიციალურად გაიფორმა.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS/ პარი ბიდან

ევგენი კაფელნიკოვი

სხვადასხვა

მარტინა ნავრატილოვას პრესკონფერენციებზე ერთი დაუპატიჟებელი და უცნაური სტუმარი დაყჰყვება — ოთხი წლის ციდა ფოქსტერიერი — ბინა.

არა, ძაღლი ბევრი გვინახავს, თანაც ყველანაირი ჯიშისა, მაგრამ ბინა სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ სულ ორი ფეხი აქვს — ეს თანდაყოლილი ნაკლია.

„ბინა ამას სულაც არ განიცდის და კენგურუსავით დახტის. ძალიან ყურადღებიანი, საყვარელი ცხოველია და ვერც კი ხვდება, რომ სხვებისგან განსხვავდება“ — ამბობს სახელოვანი პატრონი. ფოქსტერიერი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს WTA ტურზე დროებით დაბრუნების შემდეგ ყველგან თან ახლავს, მაგრამ უიმბლდონის დროს შინ, აშშ-ში დაბრუნება მოუხდება. ინგლისის არქაული კანონები ქვეყანაში ცხოველის შეყვანას ძალიან აძნელებს.

ბინაზე საუბრის გარდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ქალთა ჩოგბურთში გამეფებულ სექსპლუატაციასაც შეეხო: „მოთამაშეებს არაფერს ვერჩი, დამნაშავე თავად WTA ტურია, რომელიც მათ გარეგნობას ხაზს უსვამს. სულაც არ არის აუცილებელი, ჩოგბურთელმა „მინი“ და გამომწვევი ტანსაცმელი ატაროს საიმისოდ, რომ პოპულარული გახდეს.“

ნავრატილოვას თქმით, ის გაოგნდა, როდესაც იტალიურ ჟურნალში სამი შიშველი ჩოგბურთელის სურათი ნახა. „ილ ტენის იტალიანოს“ გარეკანზე ტატიანა გარბინა, ფრანჩესკო ლუბიანი და ალის კანეა წამოიჭიმნენ: „ეს პლეიბოისთვის იქნებოდა ზედგამოჭრილი და არა სპორტული ჟურნალისთვის“.

მარტინა ნავრატილოვა

როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, ნავრატილოვას ჩოგბურთის სექს-სიმბოლო ანა კურნიკოვას საწინააღმდეგო არაფერი აქვს და მისი რეკლამებით ნაშოვნი მილიონებიც არ აღიზიანებს: „აბა, რა ქნას, უკან დააბრუნოს? სხვა გოგოებს ვურჩევ, თავი დანებონ ანას, რომელიც სპორტში უამრავ ქომაგს იზიდავს. ის გაცილებით უკეთესი ჩოგბურთელია, ვიდრე ამას ბოლო ხანებში ნაჩვენები შედეგები მოწმობს.“

* * *

ანდრეი მედვედევი გულისნადებს არასდროს მალავს და ამის გამო ხალხიც არაერთხელ გადაუმტერებია.

აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორებთან ძველ შუღლსა და ბრალდებებს რომ თავი დავანებოთ, მარტო წლეულს, როლან გაროსზე, უკრაინელმა ყველა ამერიკელი ჩოგბურთელისა და მაგნუს ნორმანის გალანძღვა მოასწრო, ხოლო მერვედფინალში ამ უკანასკნელთან რომ დამარცხდა, ცხელ გულზე უიმბლდონსაც შეუტია.

„უიმბლდონზე თამაშის თითქმის არანაირი სტიმული არ მაქვს, იქ რჩეული მოთამაშეებისთვის ყველანაირ გამონაკლისს უშვებენ, სხვებს კი არაფრად გვაგდებენ. მთელი იქაური ისტორია, ტრადიციები სრული სისულელეა, რასაც მხოლოდ თავის გასამართლებლად იყენებენ. „ოლ ინგლენდ კლაბში“ ასპარეზობას ყველა სხვა დიდი სლემის ტურნირზე ყოფნა სჯობს, იქ ჩვენზე მართლა ზრუნავენ.“

მედვედევის აღშფოთება ინგლისში შარშან მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია. მას კლუბის ტერიტორიაზე მწვრთნელისა და მასაჟისტის შეყვანა უნდოდა, რაზეც უარი უთხრეს, მხოლოდ ერთი საშვის მოცემა შეგვიძლიაო.

„იქნებ გაგეცინოთ, სიტყვასიტყვით გიმეორებთ ნათქვამს — თქვენ საფრანგეთის ღია პირველობაზე ისე ითამაშეთ, ორ საშვს ნამდვილად იმსახურებთ, მაგრამ მაინც ვერ მოგცემთო. მეც რაღა მექნა, მასაჟისტი ისე შევაბაერე, რომ დაცვამ ვერ დაინახა. ეს ხომ უბრალოდ სასაცილოა. ამ დროს სხვა ჩოგბურთელს 20 საშვს აძლევენ და იმ კორტს უთმობენ სავარჯიშოდ, რომელზეც მე უარი მითხრეს. ეს უსამართლობაა.“

უკრაინელმა ბოლოს ისიც კი განაცხადა, ATP ტურს სავალდებულოდ რომ არ დაედგინა, უიმბლდონზე სულ არ ვითამაშებდიო: „ჰოდა, კარგი იქნებოდა, ტურნირი მოთამაშეების გარეშე დარჩენილიყო. რა მოხდებოდა? არაფერი. იქნებოდა სნობური ინგლისური კლუბი თავისი წესებითა და ტრადიციებით. უიმბლდონს ხიბლს სწორედ ჩვენ, ჩოგბურთელები ვმატებთ და ბილეთებსაც ჩვენ ვყიდით.“

* * *

ახლანდელი ვარსკვლავები ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან — მარატ საფინი, ანა კურნიკოვა, ელენა ლიხოვცევა, ევგენი კაფელნიკოვი და სხვები თავისუფლად დაიარებიან კონტინენტიდან კონტინენტზე, საზღვარგარეთ ვილა-აგარაკებს და კერძო თვითმფრინავებსაც იძენენ.

მაგრამ სულ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჯერაც რკინის ფარდა გვყოფდა დანარჩენი მსოფლიოსგან და უტყვი საბჭოთა მოქალაქეები ტალონებით ხელში პროდუქტების გაუთავებელ რიგებში ათენ-აღამებდნენ, არც ჩოგბურთელებს ულხინდათ დიდად.

ერთ დროს საკმაოდ წარმატებულმა მოთამაშემ, ანდრეი ჩესნოკოვმა, რომელსაც ბორის ელცინმა გმირობაც კი მიანიჭა, ფრანგულ „ეკიპთან“ ინტერვიუში გაიხსენა, როგორ ელოდა ჩოგბურთის ფედერაციიდან აღკაზმულობასა და ტანსაცმელს.

„როდესაც ბოლოს და ბოლოს ჩემი რიგი დადგა, აღმოჩნდა, რომ შემონახული შორტები მეტისმეტად პატარა იყო, ჩემი ზომისა კი აღარ დარჩენილიყო. მაშინ მითხრეს, კარგი მინი-კაბები გვაქვს და იმას ხომ არ წაიღებო.“

მარატ საფინის ახლანდელმა მწვრთნელმა, თქვენ წარმოიდგინეთ, კაბა მართლაც აიღო და მოგვიანებით შავ ბაზარზე შორტებზე გადაცვალა.

34 წლის ჩესნოკოვი, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს მე-9 ჩოგანი გახლდათ, ნატაშა ზვერევასთან ერთად პირველი იყო, ვინც საბჭოური სპორტული სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრა და კომუნისტურ პარტიას საპრიზოების ჩარიცხვაზე უარი განუცხადა. შედეგად მეუღლესა და შვილებთან ერთად ის ამჟამად პარიზში ცხოვრობს და ბედს ნამდვილად არ უჩივის.

* * *

ფლევანდელ როლან გაროსზე ყველაზე სწრაფად ჯერჯერობით მარკ ფილიპუსისი აწოდებს. გიგანტი ავსტრალიელის შედეგი 213 კმ/სთ-ია. ოზს უკან მასპინძელი სედრიკ პიოლინი მიჰყვება — 211 კმ/სთ.

ქალებში დიდი უპირატესობით ლიდერობს ამერიკელი ვინუს უილიამსი. მის სარეკორდო მაჩვენებელს — 185 კმ/სთ-ს მეორე ადგილზე მყოფი მარი პირსი მთელი 14 კმ/სთ-ით ჩამორჩება.

ბადრი კუთელიძის ფოტო

მაია ჩიბურდანიძე

მაია სიცილიურმა ატირა

ბათუმში ქალ მოჭადრაკეთა ევროპის პირად პირველობას ბოლო ქართველი გამოაკლდა. მაია ჩიბურდანიძე ნახევარფინალის მეოთხე პარტიაში შავებით რუს ეკატერინა კოვალევსკაიას ეთამაშებოდა და სიცილიური დაცვა აირჩია და როგორც მერე გამოჩნდა, ვერ გაამართლა, უკვე 27-ე სვლისთვის კოვალევსკაიამ იმხელა პოზიციური უპირატესობა მიიღო, ქართველის დანებება ლოგიკური ჩანდა და ასეც მოხდა. ნახევარფინალი კოვალევსკაიამ 2,5:1,5 მიოგო და ახლა ფინალში უკრაინელ ნატალია ჟუკოვას ეთამაშება. მაიას წაგების მიზეზებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, უმთავრესი მაინც მისი უთამაშებლობაა. ჩიბურდანიძეს სატურნირო პრაქტიკა ბოლო ხანებში აშკარად აკლდა და არ შეიძლებოდა, ბათუმში ამას თავი არ ეჩინა. ასეა თუ ისე, ევროპის ჩემპიონი ქართველი ვერ გახდება. იგი რუსი ან უკრაინელი იქნება. ყველაფერს ოთხი სტანდარტული და შესაძლოა დანარჩენი სწრაფი და ბლიც-ჭადრაკის პარტიები გადაწყვეტს, რომლებიც ბათუმის ჭადრაკის სასახლეში ამ დღეებში გაიმართება.

დავით გულუა

ჭადრაკში ივლისამდე არ დაცხება. ივნისის ჰორიზონტზე არსად მოჩანს სარაევოს მაგვარი სუპერტურნირი, მხოლოდ შუა ზაფხულში ვიხილავთ საჭადრაკო ელიტის სერიოზულ თამაშს. 7-დან 16 ივლისამდე გერმანულ დორტმუნდში წარმომადგენლობითი ტურნირი იმართება და მასში მსოფლიოს ორი ჩემპიონის გარდა თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ითამაშებს. აი, ისინიც: ვლადიმერ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, მაიკლ ადამსი, ევგენი ბარეევი, პეტერ ლეკო და ფიდეს ჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი. ამავე კომპანიის წევრები იქნებიან ჰოლანდიელი ჯეროენ პიკეტი, ვისაც რეიტინგები, მართალია, ხელს ვერ უწყობს, მაგრამ ინტერნეტით პირველი სუპერტურნირის მოგებამ ქებულ კაცად აქცია, სომეხი ვლადიმერ აკოფიანი, რომლის დორტმუნდში თამაშიც ფიდეს ავტორიტეტის ერთგვარი აღიარებაა (აკოფიანი ფიდეს ბოლო ჩემპიონატზე ფინალში გავიდა), გერმანელი რობერტ ჰიუბნერი, ადრე მეტად რიგიან მოჭადრაკედ რომ ითვლებოდა და ახლა უფრო შინაური კედლების ხათრით ათამაშებენ, დაბოლოს, მთავარი — ერთ-ერთი გამორჩეული საჭადრაკო კომპიუტერთაგანი, „ჯუნიორ 6“. მისი ტურნირზე დაშვება გვიჩვენებს — კომპიუტერების ადამიანთა მსარდამხარ თამაშის მოწინააღმდეგეთა პროტესტი ჯერჯერობით საკმაოდ ხმადაბლა ისმის.

კასპაროვი სტინგთან ღლაბუცობს, კარპოვმა კი დედას შვილი დაუბრუნა



გარი კასპაროვი

სტინგი

რას საქმიანობენ ივლისში მსოფლიოს ის ჩემპიონები, რომლებიც დორტმუნდში არ ჩავლენ? ანატოლი კარპოვი ჭადრაკის პოპულარიზაციისთვის იღვწის, ახლა ირანს ჩავიდა და იქაურებს თავისი ძვირადღირებული რჩევებით შეეწია. საერთოდ, კარპოვი ბოლო დროს აღმოსავლეთისადმი დიდ ინტერესს იჩენს, ადრე ინდონეზიაში ხომ ითამაშა, ახლა ირანიც... სწორედ სპარსთა ქვეყანაში განაცხადა მე-13 ჩემპიონმა, ჭადრაკი თავის ისტორიულ სამშობლოს ანუ აზიას უბრუნდებაო. „ევროპაში ჭადრაკისადმი ინტერესმა ძლიერ იკლო — უთხრა კარპოვმა დამხდურებს — სულ სხვა სურათია აზიის ქვეყნებში. იქ ნამდვილი საჭადრაკო ბუმია. რაღა შორს წავიდეთ, თქვენთან მე ვხედავ შესანიშნავ საჭადრაკო კლუბებს და 200 ათასზე მეტ ოფიციალურად რეგისტრირებულ მოჭადრაკეს. ეს იმ დროს, როცა ათიოდე წლის წინ ირანში ჭადრაკს რელიგიური მოსაზრებებით დევნიდნენ. იგივე ვიხილე ჩინეთში, ინდონეზიაში, სხვაგანაც... მოკლედ, ჩემს ნათქვამს ასე შევაჯამებ: მხოლოდ ისტორიული ფაქტორის გამო ბოლო ხუთი საუკუნეა, ჭადრაკის ცენტრად ევროპა იქცა, ახლა კი ვითარება ძირეულად იცვლება“. კარპოვის აღმოსავლური ვოიაჟები მაინც ვერ შეედრება იმ საქმიანობას, რომელსაც მისი მემკვიდრე ჩემპიონი ეწევა. გარი კასპაროვი მუშაობს ყველა მიმართულებით და მათგან უმნიშვნელოვანესი ახლა ინტერნეტია. თუ დაგაინტერესათ, „სარბიელში“ დაგვირეკეთ და მიგასწავლით, სად უნდა ეძებოთ კასპაროვის ინტერნეტ-გვერდი. რა გინდათ, მასზე რომ არ იყოს: პარტიათა პირდაპირი რეპორტაჟები ელიტარული ტურნირებიდან, მათი საფუძვლიანი გარჩევა, მათ შორის, თავად კასპაროვის მიერ, ინტერნეტში ჭადრაკის თამაში და სხვა მრავალი. სწორედ იმ გვერდიდან გავიგეთ, რომ კასპაროვს სალაღობო სეანსის მოწყობა განუზრახავს. მისი ერთი მეტოქე სტინგი იქნება, რომელსაც ჭადრაკის თამაშიც სცოდნია და დანარჩენი სამიც მისი ჯგუფის წევრები გახლავან: დომინიკ მილერი, ჯეისონ რებელო და კრის ბოტი. ეს ღონისძიება ინტერნეტით ჯერაც მიმდინარე სკოლების მსოფლიოს პირველობას უკავშირდება, რომელიც კასპაროვის ინიციატივით გაიმართა და გრანდიოზული მასშტაბებით მიმდინარეობს — ხუთიოდ კონტინენტიდან 24 ქვეყნის 600-ზე მეტი სკოლის ბავშვები ეომებიან ერთმანეთს ძვირფასი ტიტულისთვის. ფინალი 29 ივნისსაა, იმავე დღეს ითამაშებენ ჩემპიონი და მუსიკოსები, რასაც გამარჯვებულ სვლის საზეიმო დაჯილდოება-მოჭყლეტა ერევა ალოსანივითაა საქმე აყობილი...

იმ ამბამდე ჯერაც გვარიანი დროა და ესპანურ სიუდად დე ლეონში უკვე მორჩა ეგრეთ წოდებული „განვითარებული“ ჭადრაკის მცირე ტურნირი. იგი ჩვეულებრივი ჭადრაკისგან იმით განსხვავდება, რომ მოთამაშეებს კომპიუტერის ნებისმიერად გამოყენება შეუძლიათ. ამ საქმეში განსაკუთრებით ძლიერი ანანდია, რომელმაც შარშან კარპოვს მოუგო. ანანდი სიუდად დე ლეონშიც ფავორიტი იყო და გაიმარჯვა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ალექსეი შიროვი, იუდით პოლგარი და მიგელ ილესასი ჰყავდა მეტოქეებად.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაიმართა. ნახევარფინალში შიროვმა ილესასი სულ თავის ნებაზე ატრიალა, თეთრებით მოუგო, შავებითაც და დამატებითი პარტიების საჭიროება მოსპო. მეორე ნახევარფინალში ანანდს გაუჭირდა. ყაიმით დასრულდა ორი სერიოზული პარტია და მხოლოდ სწრაფი თამაშიდან მიღებულმა ქულამ გაიყვანა ინდოელი ფინალში. პარტია უფრო პოლვარის გიჟი შავი პაიკის წყალობით იყო აღსანიშნავი, რომელიც თეთრი ფიგურების გარემოცვაში ჯიუტად მიიწევდა პირველი ჰორიზონტალისკენ და წესიც აუგეს. მერე ანანდმა მეორე პაიკი მოიგო, ბოლოს კი ენდშპილში სულაც ზედმეტი ფიგურით დარჩა. პოლგარმა საათი 68-ე სვლაზე გააჩერა.

ფინალის პირველ პარტიაში ყველაფერი გადაწყდა. დებიუტში შიროვმა ვერ მოახვია თავს მეტოქეს თავისი ანარქიული სტილი და პარტია მკაცრად ჩაკეტილ პოზიციაში გაგრძელდა. გაიცვალა ლაზიერები, ეტლები, ორორიც მსუბუქი ფიგურა და მაშინ იყო, ანანდმა ორ პაიკში ფიგურა რომ გაწირა. შემდეგ მისი გამსვლელი პაიკის გამჩერებელი მამაზეციერიც არ იყო, რასაც შიროვი დროულად, 39-ე სვლაზე მიხვდა. მეორე პარტიაში ექსრიგელმა ბევრი იჯაჯგურა, თუმცა ვიშის მყარად ეპყრა პოზიციის სადავეები და ვერაფერს გახდა. ინდოელმა ყაიმს მიაღწია და ტურნირიც მოიგო, თუმცა ეგ იმდენი არაფერი, მთავარია, დორტმუნდში როგორ ითამაშებს.

დავით გულუა

ვის ეტყვის ლიგა, ძვირფასო?

მოგეხსენებათ, პლეი ოფის დასრულებისთანავე გამორჩეულთ, ტრადიციულად, სხვადასხვა პრიზებით აჯილდოებენ. წლევანდელი ოფიციალური ცერემონია 15 ივნისს ტორონტოში გაიმართება, მანამდე კი კანდიდატთა ფინალური სამეულები დასახელდა.

ლიგის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს, HART MEMORIAL TROPHY-ის, რომელიც ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს გადაეცემა, პიტსბურგელი იარომირ იაგრი, ფლორიდელი პაველ ბურე და სენტლუისელი კრის პრონგერი გაითამაშებენ. პირველობა შეგვიძლია ყოველ მათგანს ვუწინასწარმეტყველოთ. თუნდაც ბურეს, რომლის უმძიმესმა ტრავმებმაც ბევრს მასზე ხელიც კი ჩააქნევინა, მაგრამ რუსი წლეულს თითქოს მკვდრეთით აღდგა და 58 გოლით ბადალი არ ჰყავდა სნაიპერთა შორის. კრის პრონგერის სახელს კი სენტ ლუისის წარმატებებს უკავშირებენ. „ბლუზმენთა“ კაპიტანი არა მარტო დაცვის საყრდენია, არამედ თავისი შემტევი პოტენციალიც გაზარდა და მოგროვებული ქულებით მცველთა შორის მესამე გახდა, ხოლო ნაყოფიერების კოეფიციენტით, ეგრეთ წოდებული „პლუს-მინუსით“, ლიგაში ყველას გაუსწრო. და მაინც, სპეციალისტთა უმეტესობა უპირატესობას იარომირ იაგრს ანიჭებს. სუპერჩეხმა ზედიზედ მესამედ, კარიერაში კი მეოთხედ ყველას აჯობა ბომბარდირთა დავაში და ეს მაშინ, როცა ტრავმების გამო 19 მატჩი გამოტოვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იაგრი მართლაც შეუცვლელია პიტსბურგისთვის.

იარომირ იაგრი

თუ აქ ვერა, კრის პრონგერი, ალბათ, JAMES NORRIS MEMORIAL TROPHY-ის (საუკეთესო მცველი) ნომინაციაში მაინც გაიმარჯვებს, თუმცა დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი მას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. შვედმა ჩემპიონატში 72 ქულა მოაგროვა და ამ მაჩვენებლით ბომბარდირთა პირველ ოცდახუთეულში შევიდა. მესამე პრეტენდენტი ლოსანჯელესელი რობ ლეიკი გახლავთ.

VEZINA TROPHY-ის (საუკეთესო მეკარე) კი კერტის ჯოზეფს, ალბათ, ვერც ვაშინგტონელი ოლაფ კოლციგი და ვერც სენტლუისელი რომან ტურეკი შეეცილებიან. მართალია, მათ უკეთესი სტატისტიკური მაჩვენებლები ჰქონდათ სეზონში, მაგრამ ვერც ერთი ვერ ასრულებს ისეთ დიდ როლს თავის კლუბში, როგორც ჯოზეფი. ეს თვალსაჩინოდ აჩვენა იმ პროგრესმაც, რომელსაც ტორონტომ მიაღწია კლუბში ამ მეკარის მისვლის შემდეგ.

სეზონის საუკეთესო ახალბედა კი ნიუჯერსელი სკოტ გომესი გახდა. მართალია, ჯერ ვერავინ იტყვის, თუ რამდენად გაამართლებს იგი გაცემულ ავანსებს, მაგრამ ფაქტია — 19 წლისას ასე შედეგიანად და დამაჯერებლად მხოლოდ ერთეულებს თუ დაუწყიათ ლიგაში კარიერა. გომესის გარდა ფინალისტები სანხოსელი ბრედ სტიუარტი და რეინჯერსელი მაიკ იორკი იყვნენ.

აქვე სხვა პრიზების მაძიებლებსაც გაგაცნობთ: LADY MEMORIAL TROPHY (სპორტული სულისკვეთებითა და ჯენტლმენობით გამორჩეულს): ნიკლას ლიდსტრიომი, ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი), პავოლ დემიტრა (სენტ ლუისი).

JACK ADAMS AWARD (საუკეთესო მწვრთნელს): ჟოელ კენეევილი (სენტ ლუისი), ალენ ვინიო (მონრეალი), რონ უილსონი (ვაშინგტონი)

FRANK J. SELKE TROPHY (დაცვაში მარჯვე ფორვარდს): მიხალ ჰანდზუსი (სენტ ლუისი), მაიკ რიჩი (სან ხოსე), სტივ აიზერმანი (დეტროიტი).

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ლაურეატი უკვე გამოვლინდა ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი ART ROSS TROPHY, ცხადია, იაგრს გადაეცემა, შარშან დაწესებული MAURICE RICHARD TROPHY (საუკეთესო გოლეადორი) მეორე მფლობელი კი ბურე გახდება. მიიღებენ სენტ ლუისის მეკარეები — ტურეკი და ჯემი მაკლენანი, რომელთაც სეზონში ყველაზე ნაკლები შაიბა გაუშვეს.

სამველ ღარიბიანი

გრეცკი პოიოტებს წილში ჩაუჯდა

უეინ გრეცკი დიდ ჰოკეიში დაბრუნდა. ახლახან იგი ფინიქსის ერთ-ერთ დირეტორად დაინიშნა. გრეცკი, რომელიც ორგანიზატორულ და ფინანსურ საკითხებს განაგებს, კლუბის აქციების 10 პროცენტს მიიღებს და მისი წილი თანდათან 20 პროცენტამდე გაიზრდება. „დიადს“ „ნიუ იორკ რეინჯერსიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ „კოიოტებმა“, როგორც ჩანს, იგი უფრო მიმზიდველი წინადადებით მოხიბლეს.



უეინ გრეცკი

გუგო გოგოს უძღვნა

კვირას საფრანგეთში „დოფინეს“ ტურნირი დაიწყო, რომელიც ერთ კვირას გასტანს და საკმაოდ ძლიერ შემადგენლობასაც მოუყარა თავი.

პროლოგში, ყველასთვის მოულოდნელად, 28 წლის ესპანელმა ალბერტო ლოპეს დე მუნაინმა იმარჯვა. 3,6-კილომეტრიანი გზის ნახევარი აღმართი იყო და ფინიში გრენობლის მახლობლად, ბასტილიის მთაზე იყო მოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ მრბოლებს დიდი მანძილი არ ჰქონდათ დასაძლევი, გამარჯვებულსა და დანარჩენებს შორის მაინც საკმაო სხვაობა იყო. ინდივიდუალური რბოლების ოსტატმა აბრაამ ოლანომ (ესპანეთი, ონსე) კი ლამის მთელი წუთი (59,02 წმ) წაგო ბასკ დე მუნაინთან, რომლის მთავარი მოკავშირეც უდავოდ სიცხე იყო. ფინიშზე მან გამარჯვება შეიფერა, თუმცა საბოლოოდ პირველობას მაინც ვერ ვეღირსებიო, დასძინა.

პირველი ეტაპი, რომელიც ფრანგმა ფრედერიკ გესდონმა (ფრანსეზი) მოიგო, გრენობლსა და ლიონს შორის გაიმართა. მან შეტევა ნაადრევად, მე-18 კილომეტრზე წამოიწყო ოთხ სხვა მრბოლთან (ფაბრის გუგო, დავიდ ლეფევრი, ალექსეი სივაკოვი, არტურას კასუტისი) ერთად.

„ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგეთ და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო. თუმცა პელოტონს უფრო რომ მოენდომებინა, დაგვეწეოდა კიდეც“ — თქვა გესდონმა. ლტოლვილთა უპირატესობამ მეთორმეტე კილომეტრზე ექვს წუთს გადააჭარბა, მაგრამ საერთო ჩათვლის ლიდერის გუნდის აქტიურობის გამო მალევე დაიწყო დნობა და ფინიშზე მხოლოდ ოთხი წამი შეადგინა. თუმცა ეს ოთხი წამიც სავსებით საკმარისი გამოდგა. „კარგი სპრინტი მჭირდება, ვუთხარი საკუთარ თავს და...“ ...და გესდონმა ბოლო 300 მეტრზე სიჩქარე გაზარდა. გუგომ და სივაკოვმა მისი გადასწრება კი ვეღარ შეძლეს.

თუ ორშაბათს ვერ შეძლო, სამაგიეროდ, სამშაბათს იპირველა გუგომ. საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ბასკმა შეინარჩუნა. „ამ გამარჯვებას მას ვუმადლი. რამდენი ღამე გამითენებია მისთვის“ — თქვა თავის ერთი თვის ქალიშვილზე გამარჯვებულმა, რომელსაც აქამდე ექვსწლიან პროფესიულ კარიერაში ოდენ ერთი ეტაპი მოეგო (1998 წელს „ენის ტურზე“).

გუგო რვა მრბოლთან ერთად 61-ე კილომეტრზე გაექცა პელოტონს. ბოლო სიძნელის გადალახვის შემდეგ კი ერთპიროვნული ლიდერი გახდა. დაღმართზე მისი დაწევა სეზარ სოლაუნმა და იენს ვოიგტმა შეძლეს. ეს უკანასკნელი თავის თანაგუნდელს ძლიერ დაეხმარა, კარგა ხანს ატარა და მომძლავრებულ გუგოს ვეღარავინ გაასწრო.

გაიოზ თალაკვაძე

პროლოგი

გრენობლი, 3,6 კმ

1. ალბერტო ლოპეს დე მუნაინი (ესპანეთი, ესკალტელი) 8 წთ 56 წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +11 წმ
3. ხოსე-მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) +16
4. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) +17
5. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ესკალტელი) +18

პირველი ეტაპი

გრენობლი — ლიონი, 189 კმ

1. ფრედერიკ გესდონი (საფრანგეთი, ფრანსეზი) 4 სთ 33 წთ 56 წმ
2. ფაბრის გუგო (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი) იგივე დრო
3. ალექსეი სივაკოვი (რუსეთი, ბიგმატი) +2 წმ
4. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ონსე) +4
5. არტურას კასპუტისი (ლიტვა, AG2R) +4

მეორე ეტაპი

შატიონ-სიურ-შალარონი — სენტ ეტიენი, 210 კმ

1. ფაბრის გუგო 5 სთ 04 წთ 51 წმ
2. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) +13 წმ
3. სეზარ სოლაუნი (ესპანეთი, ბანესტო) +20
4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფუსტინა) +20
5. ლორან ბროშარი (საფრანგეთი, ჟან დელატური)+20

საერთო ჩათვლა

1. ალბერტო ლოპეს დე მუნაინი 9 სთ 48 წთ 07 წმ
2. ლენს არმსტრონგი +11 წმ
3. ხოსე-მარია ხიმენესი +17
4. ალექს ცულე +17
5. აიმარ სუბელდია +18

ეჭვიანებო იმკურნალეთ იზოარის მთებში



სტეფანო გარძელი და მარკო პანტანი

სამოდ კვირის წინ შეიძლებოდა, ბევრს ეფიქრა, რომ მარკო პანტანის კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. შარშან „ჯიროდან“ მოკვეთილ მრბოლს მთელი წელი შეჯიბრში არ მიეღო მონაწილეობა. მხოლოდ ერთხელ მოახტა წლის დასაწყისში ველოსიპედს, მაგრამ ერთ-ერთ ესპანურ ტურნირში მხოლოდ ორ ეტაპს გაუძლო. „ჯიროს“ დაწყებამდე ორი დღით ადრე კი გაცხადდა, რომ „მეკობრეც“ პელოტონში იქნებოდა. რომში, სტარტის წინ მან პაპის ლოცვა-კურთხევაც მიიღო და...

მეცხრამეტე ეტაპამდე პანტანი ჩრდილში იყო, აღმართებშიც კი სხვებზე მეტად უჭირდა. მაგრამ აი, „ჯიროს“ მესამე კვირის ბოლოს, სალუძოდან ფრანგულ ბრიანსონამდე გაჭიმულ ეტაპზე, „მერკატონე უნოს“ წევრმა ბრწყინვალედ ირბოლა და დროებით გალიდერებულ თავის გრეგარ, სტეფანო გარძელის დიდად დაეხმარა მეტოქეებთან ჭიდილში. „ჯიროს“ მორალური გამარჯვებული“, „პანტანი ისევ უძლიერესია“ და მსგავსი სათაურებით აჭრელდა იტალიური პრესა. ეგ კი არა, მარკო „ტურ დე ფრანსის“ ფავორიტთა სიაშიც უმალ ჩარიცხეს.

— მარკო, რა მიიღეთ „ჯიროსგან“?

— ისევ მრბოლი გავხდი. ფიზიკურად ბევრი არაფერი მჭირდა, მაგრამ ფსიქოლოგიურად მჭირდებოდა საკუთარ თავში დარწმუნება. იზოარის მთამ აბსოლუტურად განმკურნა ეჭვებისგან და ბრიანსონშიც იმიტომ ვიყავი მეორე. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ისევ ძველებურად შემეძლო რბოლა.

— ხომ არ გაგიჭირდათ?

— ეს „ჯირო“ თითქოს ჩემთვის რაღაც ახალი იყო, თავს მოწაფედ ვგრძნობდი. ძალიან ძნელი იყო მუდმივად პელოტონის კუდში ყოფნა. მართალია, უამრავ გამამხნევებელ წერილს ვიღებდი, მაგრამ ეს ამავდროულად დამთრგუნველიც იყო. როცა ხალხს შენი სჯერა და შენგან მხოლოდ შეტევას ელის, ძნელია მათი იმედების გაცრუება.

— რატომ გადაწყვიტეთ, სწორედ აღდგომის მეორე დღეს დაბრუნებოდით რბოლებს?

— მგონი, სწორედ მაშინ შევიგრძენი, რომ თუ ველოსიპედს სასწრაფოდ არ დავუბრუნდებოდი, ეს ჩემი კარიერის დასასრული იქნებოდა. ეს არ იყო დაბრუნება, რომელზეც შეიძლება მეოცნება. მერჩივნა, ტურნირებში მონაწილეობის განახლებისთანავე კარგი შედეგები მქონოდა. მოუმზადებლად „ჯიროზე“ გამოსვლა ძალიან დიდი რისკი იყო. თუმცა ამან მაინც გაამართლა. საკუთარი ძალის ვირწმუნე.

— ამ რწმენის მიზეზი რა არის?

— რწმენას უპირველესად საკუთარ თავს და ოჯახს, რომელიც მუდმივად გვერდში მედგა, ვუმადლი. „მერკატონე უნოს“ პატრონი ჩენიც ძალიან დამეხმარა. იგი სპონსორიდან მეგობრად და მრჩევლად იქცა. ერთი შეცდომა უნდა ვაღიარო. შარშან თხუთმეტდღიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ისევ უნდა დავბრუნებოდი რბოლებს, მაგრამ...

— სხვა მრბოლებთან შეხვედრამ როგორ ჩაიარა?

— პელოტონი ჭრელია და ჩემთან შეხვედრაც მრავალფეროვანი იყო.

— ცოტა უფრო ნათლად აგვიხსენით.

— ჩვენს მინი-სამყაროში ერთგვარად როლებია აღრეული. სპონსორებს თავი მწვრთნელები ჰგონიათ, ეს უკანასკნელნი ძალაუფლებისთვის იბრძვიან. სპორტსმენებიც ზშირად არიან ინტრიგაში ჩართულნი. იმედია, ყველაფერი შეიცვლება. საბედნიეროდ, „მერკატონე უნოში“ სრული წესრიგია.

— „ჯიროს“ ორგანიზატორებსა და გუნდების სპონსორების კონფლიქტში მრბოლთა ინტერესები რატომ არავის გაახსენდა?

— მე და მარიო ჩიპოლინი ამ საკითხზე ბევრს ვიბრძოდით. ველოსპორტში ყველას თავისი ინტერესების დაცვა უნდა, დანარჩენებზე თითქმის არავინ ფიქრობს.

— წლევანდელ „ჯიროზე“ რას გვეტყვით?

— რამდენჯერმე ვთქვი და ვიმეორებ, რომ წლევანდელი „ჯიროს“ გზა არ მომწონდა. თუმცა მან რამდენიმე ახალი სახელი მაინც ამოატივტივა. მაგალითად, დანილო დი ლუკა, რომელმაც მომავალი „ჯიროს“ მოგება აღგვითქვა და, ალბათ, დაპირებას შეასრულებს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ამის კარგი შანსი ნამდვილად აქვს. ძველებმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე — მაგალითად, ჯილბერტო სიმონიმ. ჩემი აზრით, ახლა ველოსპორტში თაობათა ცვლა იწყება.

— მაგრამ ფრანჩესკო კასაგრანდე თქვენი ხნისაა...

— ტრასა მისთვის არახელსაყრელი იყო, თორემ ის მეტის გაკეთებას შეძლებდა. სწორედ ამიტომაც ვიწინასწარმეტყველე სტეფანო გარძელის გამარჯვება. ისე, მაინც რამდენიმე მრბოლს ჰქონდა ამ „ჯიროს“ მოგების შანსი, მაგრამ გარძელიმ ყველაზე უკეთ იასპარეზა.

— რომელიმე ეტაპზე განსაკუთრებით ხომ არ გაგიჭირდათ?

— ალბათ გაცილებით მეტად გამიჭირდა და მეტი ოფლიც ვღვარე, ვიდრე 1998 წელს, როცა „ჯიროო“ მოვიგე. ჩემს ფორმას კარგი ნამდვილად არ ეთქმოდა. ვცდილობდი, გუნდს გამოვდგომოდი. ისე, რამდენჯერმე ტურნირის მიტოვებაზეც ჩავფიქრდი, მაგრამ ეს გუნდის და ყველა იმ ადამიანის ღალატი იქნებოდა, ვისაც ჩემი სჯეროდა. ასე რომ, ბოლომდე გავძელი.

— თვლით, რომ „ტურ დე ფრანსის“ მოგება შეგიძლიათ?

— ძალიან გამიჭირდება, რადგან ჯერ კიდევ ბევრი მიკლია საუკეთესო ფორმამდე, თუმცა ძალ-ღონეს არ დავზოგავ და იქნებ გავიმარჯვო კიდეც.

თარგმნა გაგი გურულმა

სტუდენტები ექვსჯერ ჩაიჭრნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
7 ივნისი

ყოჩები 34:14 (17:7) უნივერსიტეტი

ყოჩები: ფირაშვილი, კიკუაშვილი, ხურცილავა (მხეიძე), თევდორაძე, სულთანიშვილი (გოგშელიძე), გ. ხაბეიშვილი, დ. ხაბეიშვილი, კობახიძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, იმნაძე (ჯანელიძე), ბარძიმიშვილი, საკანდელიძე (ხოსროშვილი), ლიპარტელიანი (ხელაძე), პეტრიაშვილი

6 ლ — კობახიძე (5), გიორხელიძე

2 გ — ტეფნაძე

უნივერსიტეტი: ჯანუაშვილი, კუთარაშვილი (ხაჭაპურიძე), წიკლაური (ალიბეგაშვილი), კობიაშვილი, ქირიკაშვილი, მჭედლიშვილი, მგავანაძე, კიზირია, მოდებაძე, ჯაში (ძონენიძე), ელოშვილი (კობახიძე), დანელია, გ. ელოშვილი (ჩქარეული), ჯავრიშვილი

2 ლ — ქირიკაშვილი

2 გ — მოდებაძე

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

ჩემპიონატის ცხრილში ნელ-ნელა ყველაფერი ლაგდება. გამოიკვეთა სამი ლიდერი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. თბილისის „ლოკომოტივი“, „ჩოჩები“ და ბათუმის დათვები მეტოქეებთან შედარებით მაღალ კლასს აჩვენებენ. გუშინ გამართულ მატჩში უდავო ფავორიტად „ყოჩები“ ითვლებოდნენ. მათი მეტოქე „უნივერსიტეტი“ საკმაოდ პერსპექტიული გუნდია, მაგრამ დღეს სტუდენტებს არ ძალუძთ დიდ სამეულთან ჭიდილი. „უნივერსიტეტი“ იმით თუ დაიკვეხნის, რომ უბრძოლველად არავის არაფერს უთმობს.

პირველი ტაიმი სულ ორიოდ წუთის დაწყებული იყო, როდესაც სტუმრებმა შეტევა მარჯვენა ფლანგიდან წამოიწყეს. „ყოჩებმა“ თითქოს შეაჩერეს მეტოქის შემოტევა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით. ქირიკაშვილმა ბურთი ხელი იგდო და მოწინააღმდეგის მცველთან ჭიდილში გამარჯვებულმა „ყოჩების“ სალელო მოედანში დადო. მოდებაძემ ზუსტად გარდასახა და უნივერსიტეტი დაწინაურდა — 7:0. ამის შემდეგ მინდორზე „ყოჩები“ გაბატონდნენ. სტუდენტებს ჯიქურ შეუტიეს და ცხადი გახდა, „უნივერსიტეტი“ დიდხანს ვერ გაძლებდა. ერთ-ერთი შეტევა ისეთი მძლავრი გამოდგა, რომ სტუდენტებმა მხოლოდ ჩათვლის ხაზთან შეაჩერეს მეტოქე, მაგრამ ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე კახა კობახიძემ მალე ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. მორიგი იერიში მასპინძლებმა „უნივერსიტეტის“ მარცხენა ფლანგზე მიიტანეს, აქ უკვე შერკინებამ ივარგა და კობახიძემ სტუმართა სალელოე მოედანი ამ მატჩში პირველად დალაშქრა. ტეფნაძემ უნაკლოდ გარდასახა და ანგარიში გაყაიძდა. სტუდენტები ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხნავსო. პირველ ტაიმში კობახიძემ კიდევ ორჯერ შეძლო ლელოს გატანა. ტეფნაძემ მხოლოდ ერთხელ გარდასახა და ტაიმი მასპინძელთა გამარჯვებით — 17:7 დამთავრდა.

მატჩის მეორე ნახევარში თამაშის სურათი არ შეცვლილა. მეორე ორმოცწუთეულის დასაწყისშივე ვიცე-ჩემპიონებმა გამოიდეს თავი. მათი მორიგი შეტევა შედეგიანი და პრემიალური ქულის მომტანი გამოდგა. ამჯერადაც კობახიძემ ივარგა. სამაგიეროდ, არაზუსტი იყო ტეფნაძე. „უნივერსიტეტი“ მარცხს არ შეეგუა. სტუდენტთა ეპიზოდური იერიშები ლელოთი დაგვირგვინდა. მოდებაძემ ზუსტად გარდასახა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ ეს იყო და ეს. მასპინძლებმა რამდენიმე შეცვლა გააკეთეს. მოედანზე ახალი ძალა შეუშვეს, რამაც „ყოჩების“ შეტევებს მეტი სიმწვავე შეჰმატა. გიორხელიძემ და იმავე კობახიძემ თითო ლელოც მიითვალეს და ვიცეჩემპიონებმა სტუდენტებს საბოლოოდ 20 ქულით აჯობეს.

ბაჩო სვანიძე

ვარდნარი რობინსონს ჩააბარეს

ენდი რობინსონი

ინგლისის მორაგბეთა ნაკრებს, რომელიც დღეს სამხრეთ აფრიკაში მიემგზავრება ტურნეს გასამართად, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ენდი რობინსონი. „ბათის“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი კლივ ვუდვარდის ხელმძღვანელობით იმუშავებს, რომელიც ინგლისის ნაკრების მენეჯერობამდე დააწინაურეს. ინგლისის რაგბის ფედერაციის ოფიციალური კომუნიკე იუწყება, რომ „ვუდვარდი ნაკრებებთან დაკავშირებულ საქმეებზე კონტროლს შეინარჩუნებს“.

რობინსონს მორაგბეობისას ქვეყნის უპირველეს გუნდში რვაჯერ უთამაშია — 1988-89 წლებში და... 1995 წელს. ექვსწლიანი შესვენების შემდეგ იგი თვიქნემში სამხრეთ აფრიკულ „ქურციკებთან“ სათამაშოდ მიიწვიეს, მაგრამ მაშინ 32 წლის შერკინების მესამეხაზელმა საკუთარი გუნდი წაგებისგან ვერ იხსნა.

ენდი რობინსონი მოთამაშეობისას ძირითადად „ბათის“ ღირსებას იცავდა. იგი ამ კლუბში 1986 წელს ჩაირიცხა და კარიერაც იქვე დაასრულა. 1997 წლის იანვრიდან კი რობინსონი „ბათის“ მთავარი მწვრთნელი იყო და ერთი წლის შემდეგ გუნდს ევროპის თასიც მოაგებინა. ინგლისელებმა ფინალურ შეხვედრაში, რომელიც ბორდოში გაიმართა, ფრანგულ „ბრივს“ აჯობეს 19:18. საინტერესოა, რომ სანამ „ვარდის თხუთმეტეულის“ მთავარი მწვრთნელი გახდებოდა, კლივ ვუდვარდი რობინსონის თანაშემწე იყო „ბათში“.

გაგი გურული

იყიდება

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.

დაგვიკავშირდით: 8 99 51-16-78; 95-88-61; 39-71-98

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეიცარია

XIV ტური

ბაზელი 0:3 ლოზანა
ქსამაქსი 3:1 ლუცერნი
სენტ გალენი 1:1 გრასჰოპერი
ივერდონი 1:3 სერვეტი

ლიგაში ადგილის შესანარჩუნებელი ტურნირი

XIV ტური

ბადენი 1:1 ტუნი
ლუგანო 1:1 დელემონი
სიონი 2:2 ბელინცონა
ციურიხი 1:0 არაუ

ამხანაგური მატჩები

გერმანია 8:2 ლიხტენშტაინი
ლუქსემბურგი 0:1 ესპანეთი

საბერძნეთი

პლეი ოფი

არისი 3:2 პანიონიოსი





REUTERS ლიდსიდან

სასამართლო მოდის?

ტუჩმოკუმული ეს ბატონი სამხრეთ იორკშირის პოლიციის ყოფილი მთავარი ინტენდანტი დევიდ დაკინფილდია, ხოლო კაცი ხელში წარწერით „სამართალი" ერთ-ერთი იმ აქტივისტთაგანი, რომელთაც 11 წლის წინათ მომხდარი ტრაგედიის მონაწილეთა მხილება მოსურვებიათ. მაშინ შეფილდ-ქალაქში, „ლივერპული" და „ლიდსი" ასოციაციის თასის ნახევარფინალში თამაშობდნენ, ტრიბუნა რომ ჩამოინგრა და 96 კაცი შეიწირა. დაკინფილდსა და მის თანაშემწეს, ბერნარდ მიურეის, ტრაგიკული პროცესისათვის ხელის არშეშლა ბრალდებათ, რაც მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. ვნახოთ, რას იტყვის ბატონი მოსამართლე...

თავქარწისქვილიანები

ეს ლამაზმანები ჰოლანდიის ქალაქ ჰარლინგენიდან არიან. იქიდან წამოსულან ისინი გერმანიას, ჰანოვერის მსოფლიო გამოფენაზე თავიანთი ქვეყნის ღირსეულად წარმოსაჩენად. წარმოდგენა გვარიანია: თავზე დაკოსებული ჰოლანდიური ქარის წისქვილები შთაბეჭდილებას ფრიადს შექმნის და 2000 წლის საფეხბურთო ევროპირველობაზეც მრავალი უნდა მიიზიდოს.

დიეგოს დარტყმული

მარადონაა, რა, ნამდვილი! ნახეთ, რას ურტყამს! ცარიელმა ტრიბუნებმა ხომ არ დაგაფიქრათ? ეგ ჰავანაში ბუნებრივია, მთავარია, დიეგოა მოედანზე და ჩვეული სიჩაუქით გაუქნევია ფეხი. სულ ტყუილად ცდილობს მავანი ჩვენი კოლეგა უცხოელ ჟურნალისტთა ნაკრებიდან მარადონას მეგობართა შტურმს გაუმკლავდეს და თავისი სუსტი წერტილები დაიცვას. დიეგოს მეგობართა ნაკრებმა 6:0 მოიგო და აქედან დუბლი დიდებული მარადონასია.

REUTERS ნიუ იორკიდან



ფელიქსის მუშტი

კაცმა რომ თქვას, არ ჩანს ისე მრისხანე, როგორიც სინამდვილეში არის. აბა შეხედეთ პუერტორიკოელი ფელიქს ტრინიდადის მჯიღებს, რა ეტყობათ მათ საჩემპიონო? არადა, ეს კაცი ველთერის წონაში კრივის მსოფლიო ჩემპიონია და ახლაც ცნობილ ტელეკომპანია ეიჩ-ბი-ოუს სპორტულ რედაქციას თავისი ბრძოლების ტრანსლაციის თაობაზე ელაპარაკება. მისი უახლოესი მეტოქე ივლისში ფრანგი მამადუ თიამი იქნება.

ვუყუროთ ერთმანეთს თვალებში

რა განზე იყურებით, თქვე კაი ხალხო, მოყვარული ცოლ-ქმარი არა ხართ?! პირველი ნახევარი, ბრიტანული ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ვინი ჯონსი ჰოლივუდში ცნობილი კინობანდიტი შექნილა ფილმით „სამოც წამში მოპარული", მალე ვინძლოთ „ოსკარიც" ჩაბღუჯოს; იმავე „ოსკარის" უკვე მფლობელებიც გაუცვნია, მაგალითად, ნიკოლას კეიჯი. ახლა კი ტანიად წოდებულ ცოლს სახეში ვერ უყურებს? შეხედე, რაღა!

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

[illegible]ავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
[illegible]ირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

ნაკრები გაიყო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ისეთი თამაში გაჩაღდა, ეროვნული ჩემპიონატის ბარე ორ მატჩსაც სჯობდა. ეგ იყო, ფეხბურთელები უწვევსაფარებოდ გავიდნენ მინდორზე და ერთიმეორის ფეხებს უფრთხილდებოდნენ. მსაჯი ავთანდილ შალამბერიძე ჯარიმას თუ დანიშნავდა, ისიც მაისურაზე დაქაჩვისთვის ან ხელით თამაშისთვის. მწვრთნელებმა ფეხბურთელები ერთნაირი ტაქტიკური სქემით — 4-4-2 განალაგეს. საყრდენთა გარდა სამივე ნახევარმცველი ხშირად ცვლიდა ადგილებს, მათ თავდამსხმელებიც ეხმარებოდნენ. რაიმე განსაკუთრებული არაფერი ჩაგვინიშნავს, მწვრთნელებისას კი ვერაფერს გეტყვით. თამაშის შემდეგ მათ გვითხრეს, კარგი საქმე გავაკეთეთ, ხშირადაა საჭირო ასეთი მატჩების ჩატარება, ახლა ცოტას დავფიქრდებით და საესტონეთო შემადგენლობას გამოვაცხადებთო.

ღამით კი ისინი ჩამოთვალეს, რომელთა გვარებსაც ბოლოში იხილავთ.

სხვათაგან გამორჩეული გუშინ ორი ფეხბურთელი იყო — გიორგი ქინქლაძე, რომელიც „თანაგუნდელებს" პასებს „უხატავდა" და მეკარესთან პირისპირ ტოვებდა და ალექსანდრე იაშვილი, საათ-ნახევარს რომ არ გაჩერებულა და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ტყუილად როდი აქებენ გერმანიაში. მისაბაძს იმას აკეთებდა, რომ თავდამსხმელი ყველგან იყო და საკუთარ საჯარიმოშიც კი ბურთისთვის იბრძოდა.

გოლებიც ლამაზი გამოუვიდათ ბიჭებს, სულ ხუთი. აქედან 4 „დინამოელებმა" შეაგდეს, ერთიც ალექსიძემ, გრიშიკაშვილს ბურთი თავით თავზე რომ გადაუგდო. დანარჩენი კი... პირველად ქეცბაიამ გაიტანა, მეორედ არჩილ არველაძემ, რომელსაც პენალტი ტოგონიძემ აუღო და მერე თავადვე დაამატა და ბოლო ორი მისმა ტყუპისცალმა შოთამ, ერთი თავით ძმის, რეზოს ჩაწოდების შემდეგ, მეორე გიო ქინქლაძის ჩინებული პასით.

ახლა მწვრთნელთა საბჭოზე, რომელიც კარგა ხანია, არ შეკრებილა. მათ გუშინ კვიპროსის ტურნირიდან მოყოლებული ექვსივე ამხანაგურ მატჩზე ილაპარაკეს. თქვეს, ექვს თამაშში ექვსი გოლი ძალიან ცოტააო, თუმცა ისიც აღნიშნეს, წინა ხაზში პრობლემა არ არის, ბევრი კარგი თავდამსხმელი გვყავს და შესარჩევ მატჩებში მათი უნდა გვეიმედებოდესო. საბჭოს წევრთა აზრით, ეროვნული გუნდის თავსატეხთაგანი მეკარე და დაცვის ხაზია.

ძოძუაშვილმა და ყიფიანმა აღნიშნეს, აზერბაიჯანის ნაკრებს ივნისში ამხანაგურ მატჩზე სპეციალურად შევუთანხმდითო. სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენი ნაკრები ყველაზე ცუდად ივნისში თამაშობს, მაშინ, როცა სეზონი თითქმის ყველგან დამთავრებულია და ბიჭები გადაღლილები არიან. არადა, გაისად სწორედ ამ თვის 2 და 6 რიცხვებში უწევს საქართველოს ნაკრებს იტალიელთა დახვედრა და უნგრეთში სტუმრობა. ითქვა, რომ გადაღლილობის მოსახსნელად უფრო მეტად გამოიყენონ მედიცინა და ფარმაკოლოგია, ასევე გადაწყვიტეს, ამ მატჩებამდე ნაკრები ერთი კვირით ადრე შეიკრიბოს.

ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა თქვეს, ესტონეთიდან შინ აღარ ვბრუნდებით, მოსკოვის გავლით ბელგია-ჰოლანდიას მივაშურებთ და მომავალი მეტოქეების მატჩებსაც დავესწრებითო.

ძოძუაშვილი და ყიფიანი მსოფლიოს მერვე შესარჩევი ჯგუფის პირველი ტურის მატჩებზეც ცალ-ცალკე ჩავლენ, ერთი რუმინეთში, მეორე — უნგრეთში. ალბათ მოგეხსენებათ, პირველ ტურში საქართველო ისვენებს და ისიც სასურველია, სექტემბრის დასაწყისში ნაკრებმა ერთი ამხანაგური მატჩიც ჩაატაროს.

აი, მოკლედ ეს იყო, რაც მწვრთნელებმა თქვეს... და რაც ნაკრებმა ითამაშა. შემადგენლობები (*საესტონეთო მოთამაშენი გამოყოფილია*) კი ასეთი გახლდათ:

„დინამოს" მაისურებში: *გრიშიკაშვილი; ხიზანიშვილი, ნემსაძე, სილაგაძე, კობიაშვილი; ქეცბაია, სიჭინავა, ქინქლაძე, რ. არველაძე; ა. არველაძე, შ. არველაძე* (ვაშაკიძე)

„თბილისის" მაისურებში: *ტოგონიძე* (ლომაია), დიდავა, *გ. ჩიხრაძე*, ვაშაკიძე (ზ. არჩვაძე), თოდუა; ცქიტიშვილი (მ. ჯიქია), *ვ. დარასელია*, იონანიძე, კიკნაძე; *იაშვილი, ალექსიძე*

დემეტრაძე და კალაძე მოსკოვის გავლით გამგზავრებულ ნაკრებს რუსეთის დედაქალაქში შეუერთდებიან, ყაველაშვილი, ჩალაძე, მენთეშაშვილი და რეხვიაშვილი კი პირდაპირ ტალინს ჩავლენ.

კობა ინასარიძე

გიორგი ქინქლაძის ამ პასს შოთა არველაძის გოლი მოჰყვა. ხელის შეშლა ვერც გიორგი ჩიხრაძემ (№5) შეძლო და ვერც ვიტალი დარასელიამ (№10)

დამკვირვებლები: წინა რიგში მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე და სერგო კუტივაძე. უკანა რიგში შოთა ჰეიშვილი, ზაურ სვანაძე და რამაზ შენგელია

თბილისურ-დინამოური საქართველოს ნაკრები: მწვრთნელთა საბჭოს არჩევანი დიდი ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არს დაფარული, რომ არ გაცხადდესო, გსმენიათ ალბათ. ის, რაც 1999 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დღეს მოხდა, ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს — სამარცხვინო.

ბოლო წელია, რაც სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტი (სტკ) ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მანკიერებებზე მუშაობს. კარგია ეს თუ ცუდი? ჩემი აზით, კარგია. არც ადრე იმართებოდა ბავშვთა და მოზარდ ფეხბურთელთა ტურნირები და ჩემპიონატები უხარვეზოდ, დარღვევების გარეშე, მაგრამ ეს იჩქმალებოდა. ხელშეუშლელად, წარბშეუხრელად აკეთებდნენ ბინძურ საქმეებს მავანნი და ცოდვებისთვის პასუხს არ აგებდნენ. წლეულს ამ მხრივ საგრძნობლად შეიცვალა სიტუაცია, რაც გარკვეულწილად სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის დამსახურებაა. შედეგად სტკ-ს ყოველ სხდომაზე ბავშვთა ფეხბურთში გამეფებულ განუკითხაობაზე უნევს მსჯელობა და თითოეულ ასეთ ფაქტთან დაკავშირებით მკაცრი სასჯელი გამოაქვს. გუშინდელი შეკრებაც ამ საკითხს მიეძღვნა.

1999 წლის ნოემბრის ცივ დღეს დავუბრუნდეთ... ქუთაისში არსრამაზ შენგელიას სახელობის საფეხბურთო სკოლა, რომლის პრეზიდენტიც გრიგოლ მიქაუტაძე გახლავთ. ამ სკოლის გუნდი მესხისა და მეტრეველის თასის გათამაშებებში მონაწილეობდა. 21 ნოემბერს ქუთაისელებს მესხის თასზე საგარეო მატჩზე უნდა ეთამაშათ ონში. იმ დღეს გვარიანად მოუთოვია და...

ბადრი კბილაძის ფოტო

13 ტურის მატჩი: „ვიტ ჯორჯია“ — „ბათუმი“ 2:0.
ზურაბ არჩვაძეს (ბურთით) მცხეთაში ემოციების გამოხატვა ძვირად დაუჯდა

ფანტაზია და მარჯვე ხელები

რაჭაში მხოლოდ გუნდის მწვრთნელები ჩასულან მსუბუქი ავტომანქანით. მასპინძლებს ჯეროვანი პატივი უციათ სტუმრებისთვის. მატჩის ბედიც სუფრაზე გადაწყვეტილა — სტუმარ-მასპინძელს ოქმი შეუვსია, რომლის თანახმადაც ქუთაისელებს გაუმარჯვიათ. მათი გამარჯვება რომ დაულოცავთ, ორივე მხარე იმაზეც შეთანხმებულა, რომ ასეთსავე ვითარებაში ქუთაისში ონელები მოიგებდნენ (რამდენიმე დღის შემდეგ გუნდებს მეტრეველის თასზეც უწევდათ თამაში). მართლაც რომ უსაზღვროა ადამიანის ფანტაზია. თუმცა უბურთოდ, უმოედნოდ, უმსაჯოდ, მეტიც, უფეხბურთელებოდ შესაძლებელი ყოფილა ფეხბურთის თამაში. ბინძური გარიგების მონაწილეებს თავიანთი ნამოქმედარი ხახვივით შერჩებოდათ, შემთხვევით სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ჯუმბერ თანანშვილს რომ არ გამოეაშკარავებინა მომხდარი. დაიკითხნენ ორივე გუნდის ფეხბურთელები, მოკლედ, საქმე გასკდა და სტკ-ს გუშინდელ სხდომაზე გრიგოლ მიქაუტაძე სერიოზული ბრალდებით წარდგა. სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის, ლევან ყიფიანის თქმით, იმ დღეს მიქაუტაძეც ონში იმყოფებოდა.

გრიგოლ მიქაუტაძე: „სამარცხვინო რამ მოხდა... იმ დროს ოთხი დღით ვიყავი გასული ქალაქიდან. დიდთოვლობის გამო, როგორც ჩანს, ტრანსპორტი ვერ იშოვეს ჩემი სკოლის გუნდის მწვრთნელებმა... ეს რომ გავიგე, არავის ვაცნობე და ჩემი დანაშაულიც სწორედ ეს არის. გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ბეჟან გაგუნეიშვილი დაუყოვნებლივ გავანთავისუფლე თანამდებობიდან. პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, ოჯახში რომ ცუდი ხდება, მამის ბრალია და მოვითხოვ, სამართლიანად დამსაჯოთ.“

პირობას გაძლევთ, ასეც მოვიქცევითო — დაამშვიდა მიქაუტაძე გუშინდელი სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გურამ ძაგანიამ. მაგრამ სტკ-ს ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, რადგან საქმე დამატებით გამოძიებას საჭიროებს — ონელებიც უნდა დაიკითხონ, სათანადო დოკუმენტაცია გამზადდეს, მოკლედ, დისციპლინარები ამ სამარცხვინო ფაქტის თაობაზე 14 ივნისს, წლევანდელი სეზონის სტკ-ს ბოლო სხდომაზე იმსჯელებენ.

მეტრეველის თასის გათამაშების სახევარფინალურ მატჩში „ნორჩი დინამოელი“ და „გურია“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტს ადრევე ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გურულებს განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი უნდა ეთამაშებინათ. ამის თაობაზე მატჩის ინსპექტორმა ავთანდილ გრეკოვმაც გააფრთხილა გურულები. იგი უშუალოდ ესაუბრა გურიაში ბავშვთა ფეხბურთის კურატორს თემურ ალექსაიას, მაგრამ „გურიას“ შემადგენლობაში მაინც ითამაშა განაცხადში შეუყვანელმა ფეხბურთელმა და... ცოდვაც დატრიალდა, თვითმხილველთა თქმით, გურულებს ყველა კომპონენტში დაუჩაგრავთ მეტოქე, დამსახურებულად გუმარჯვიათ, მაგრამ ფეხბურთელებს სახარული მწუხარებად შეცვლიათ — ფინალში „ნორჩი დინამოელი“ გავიდა, რადგან დებულებით „გურიას“ წაგება ჩაეთვალა. მსგავს დარღვევებში ალექსაია ადრეც ყოფილა შემჩნეული. სტკ-მ იგი კურატორობიდან გადააყენა და მის ფეხბურთში მუშაობის საკითხიც მიზანშეუწონლად მიიჩნია. იგივე ბედი „გურიას“ მწვრთნელსაც ეწია, საყვედური გამოუცხადეს აგრეთვე გურიის ფედერაციის პრეზიდენტ გულსუნდა დუნდუას.

სტკ-მ 21 მაისს ბავშვთა ლიგის გათამაშების კალენდარულ მატჩზე მომხდარ ექსცესზეც იმსჯელა. ბათუმის გუნდი ქუთაისისას მასპინძლობდა და 55-ე წუთისთვის 2:0 უგებდა. მეორე გოლი მასპინძლებს ახალგაზრდა მსაჯის, ალეკო გუნთაძის შეცდომით გაუტანიათ. ამ ეპიზოდს ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი დავით გენძეხაძე განურისხებია. იგი მოედანზე შევარდნილა და გუნთაძისთვის უგინებია. გრეკოვის თქმით (იმ მატჩის ინსპექტორიც ის იყო), გენძეხაძეს მატჩის განახლების შემდეგაც გაუგრძელებია გინება. მატჩის შემდეგ კი გუნთაძეს — ქუთაისელთა მეორე მწვრთნელი, ბუნტური დასხმია თავს და ფიზიკურად გასწორებია შავოსანს.

გუშინდელ სხდომაზე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დავით გენძეხაძე გამოიძახეს. თავდახრილმა მწვრთნელმა მხოლოდ ეს თქვა — შეცდი, მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამო. სტკ-მაც მწვრთნელის გულწრფელ აღიარებას ანგარიში გაუწია და გენძეხაძეს სეზონის ბოლომდე (ბავშვთა ლიგის პირველი გათამაშება ნოემბერში დასრულდება) დისკვალიფიკაცია მისცა, თანაც სასტიკი საყვედურიც გამოუცხადა. ბუნტური კი ფეხბურთში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა.

ბავშვთა ფეხბურთზე მსჯელობა სტკ-მ ამით მოილია და პირველი ლიგისთვისაც მოიცალა. მკაცრად დაისაჯა „ბათუმის“ რუსთაველი მცველი ზურაბ არჩვაძე. სტკ „ვიტ ჯორჯია“ — „ბათუმის“ მატჩის მთავარი მსაჯის, თამაზ ლაცაბიძის მოხსენებით ბარათს დაეყრდნო. არჩვაძემ შემაფურთხა, მაგინა და კისერში ჩამარტყა ხელიო — იტყობინება ლაცაბიძე. იგივეს აფიქსირებენ თავიანთ მოხსენებით ბარათებში ანატოლი მილჩენკო და მატჩის ინსპექტორი მევლულ მიმინოშვილიც. სტკ-მაც მკაცრად დასაჯა არჩვაძე, 12 თვით მოკვეთა იგი ფეხბურთიდან და 1000-ლარიანი ჯარიმაც დააკისრა. დაისაჯა მალხაზ მახარაძეც, იმავე შეხვედრის მონაწილე ბათუმელი ფეხბურთელი. ლაცაბიძე იტყობინება, რომ მახარაძემ ტაიმებს შორის შესვენებისას გასახდელში აგინა. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 100 ლარი — ასეთი სასჯელი შეუფარდა სტკ-მ ბათუმელ ფეხბურთელს.

ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას და 200-ლარიან ჯარიმას გამოჰკრა ხელი რუსთაველმა ალექსანდრე ბურნაძემ. „გორდა“ — „სამგურალის“ მატჩის დროს ფეხბურთელმა მსაჯს აგინა. შავოსანი მატჩის ბოლოს მისმა თანაგუნდელებმაც მოიკითხეს „ტკბილად“ და ამისათვის „გორდას“ ხელმძღვანელობას სასტიკი საყვედური გამოუცხადეს დისციპლინარებმა.

სასტიკი საყვედური დაიმსახურა სამტრედიის „იბერიამ“. იბერიელებმა „დინამოს“ ჩემპიონატის მატჩში მოუმზადებელი სტადიონი დაახვედრეს. მაღალი ბალახი იყო, საჭრელი მანქანა კი არ აღმოჩნდაო, იტყობინებიან იმ მატჩის ინსპექტორ-მსაჯები. ისე, საკვირველია, თუ სტადიონი მოუმზადებელი იყო (ეს ასეც გახლდათ), რატომ ჩაატარეს ის შეხვედრა? დებულებით ასეთ შემთხვევაში მატჩი არ უნდა გამართულიყო.

„გორდა“ — თსუ-ს მატჩში ორი ყვითელი ბარათით გაძევებული სტუდენტი ადამია ერომატჩიანი დისკვალიფიკაციით და 50 ლარით დაჯარიმდა.

სტკ-მ, ბუნებრივია, რეგიონალურ ლიგაში მომხდარ დარღვევებზეც იმსჯელა... „ჩელა“ — „მერცხალის“ მატჩში მსაჯის გინებისთვის მოედნიდან გაძევებული ოზურგეთელი მახარაძე 4 მატჩს გამოტოვებს და 200 ლარით შეითხელებს ჯიბეს. ჭაბუკიანელმა შეყილაძემ კი მისი გუნდის „აკადემიასთან“ თამაშის დროს შავოსნის გინება არ იკმარა და მას ფიზიკურადაც გაუსწორდა. ისიც ზურაბ არჩვაძის მსგავსად დაისაჯა — 12 თვე უფეხბურთოდ და ჯარიმა 1000 ლარი.

მსაჯების გინებისთვის 3-3 შეხვედრას გამოტოვებენ მემარნიშვილი, აჭარაძე (ორივე მეტალურგი) და მანჭარული (თბილისი 2). ჯარიმის სახით ეს ფეხბურთელები 150-150 ლარსაც გადაიხდიან.

რუსთავის „გორდადან“ ახალციხის „მესხეთში“ გადასულ დავით ინასარიძეს კი პირველლიგურ გუნდიდან ორი ყვითელი ბარათი გადაჰყოლია, მესამე ბარათის მიღების შემდეგ კი დებულებით 25 მაისის შეხვედრა „მესხეთსა“ და „ივერიას“ შორის უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ მწვრთნელებს მაინც უთამაშებიათ, რისთვისაც მის გუნდს ტექნიკური წაგება ჩაეთვალა.

პაატა კვანტალიანი

აფხაზეთი ქუთაისში

დღეს აფხაზეთის ნაკრებს ქუთაისის „ტორპედო“ უმასპინძლებს. როგორც იცით, 6 ივნისს ნაკრები „ბათუმმა“ მიიღო. ლამაზი სანახაობა ფრედ 3:3 დასრულდა. აფხაზეთის ნაკრები საქართველოში დადის. ქალაქიდან ქალაქში გადადის და ხალხს, ქომაგს დიდ ტკივილს — აფხაზეთს ახსენებს. მაგრამ ტკივილთან ერთად იმედიც არის, იმედი მომავლისა... ხალხიც იხსენებს, ცნობილ სახეებს ერთად ხედავს. ნაკრებიც მატჩიდან მატჩამდე ივსება ახალ-ახალი ფეხბურთელებით, რომელთაც დღეს უკვე დევნილები ჰქვიათ. „ტორპედოსთან“ მატჩში ნაკრებს სამტრედიის იბერიელი ბიძინა ივეჩიანი დაემატება. სამომავლოდ ამ გუნდში გიორგი ჩიხრაძე და მამუკა რუსიაც ითამაშებენ. მოყვრის პატივისმცემელ იმერლებს აბა, რა შეეშლებოდათ და სტუმრები რიონის დასახლებაში მორაგბეთა ბაზაზე დაბინავეს. მატჩის დაწყების დრო კი ჯერაც უცნობია. „ტორპედოს“ სტადიონზე დღეს დიდი კონცერტია დაგეგმილი. მისი ჩატარების შემთხვევაში შეხვედრა 21 საათზე დაიწყება, სტადიონიც პროჟექტორებით გაკაშკაშდება. თუ კონცერტი არ შედგა, მაშინ გუნდები ადრე დათქმულ დროს, 18 საათზე გავლენ მოედანზე.

პაატა კვანტალიანი

სად ითამაშებს ფოცხვერია?

ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშის, მიხეილ ფოცხვერიას გზები გაიყარა. ფეხბურთელს „ალანიასთან“ კონტრაქტი მაისის ბოლომდე ჰქონდა გაფორმებული, ახლა კი ხელშეკრულების ვადა გავიდა და თავდასხმელიც თბილისის „მერანის“ განკარგულებაშია.

მოგეხსენებათ, ფოცხვერია დონეცკის „შახტარიდან“ პირადი კონტაქტების წყალობით, სწორედ „მერანის“ პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ დაიხსნა. როცა მიშა ავჭალელებს კონტრაქტით დაუკავშირდა, „მერანის“ ხელმძღვანელობას „ალანიას“ იმჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი შეეხმიანა და ფეხბურთელს სეზონის ბოლომდე ვლადიკავკაზურ კლუბში თამაში შესთავაზა. წინააღმდეგი არც ფოცხვერია ყოფილა და არც ფურცელაძე, ასე აღმოჩნდა ჩვენებური ოსეთში.

ახლა კი ფოცხვერია თბილისშია და „მერანის“ უფროსობასთან ერთად მომავალ კლუბზე ფიქრობს. „ალანიადან“ ვლადიმერ გუცაევის წასვლის შემდეგ გუნდი ალექსანდრ ავერიანოვმა ჩაიბარა, რომელიც მისვლისთანავე სასელექციო მუშაობას შეუდგა. ავერიანოვს ყველა რგოლის გაძლიერება განუზრახავს, თავდასხმის ხაზში კი ერთერთ ასეთ კანდიდატად ფოცხვერიაც შეუგულებია, თუმცა...

„ალანიას“ კი სურს ფოცხვერიასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ არც ჩვენ ვაპირებთ მის გაშვებას. გვინდა, მიშამ დროებით მაინც „მერანში“ ითამაშოს. რა და როგორ იქნება, ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ამ საკითხს ნათელი სამ-ოთხ დღეში მოეფინება“ — განუცხადა „სარბიელს“ გუშინ „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ.

შეგახსენებთ, უკრაინიდან დაბრუნებული, მიხეილ ფოცხვერია „ალანიაში“ ძირითადად შეცვლებზე შედიოდა და ფორმიდანაც იმიტომ ამოვარდა, რომ თითქმის ორი სეზონი დონეცკის „შახტარის“ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მას მწვრთნელები არ სწყალობდნენ. იმედია, ნიჭიერი ფეხბურთელი საგაისოდ ნაყოფიერად მოემზადება და ისე ათამაშდება, როგორც მისგან ვართ ჩვეულნი.

ვანო ოძროპირიძე

დღეს ჯანაშია ბრუნდება

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია გამოჯამრთელდა და დღეს რუსეთის ჩემპიონატის მე-11 ტურის ცენტრალურ მატჩშიც ითამაშებს.

რუსეთის პირველობა ნორმალურად არც დაწყებულიყო, ქართველი ფეხბურთელი რომ დაშავდა. ჯანაშიამ ფეხი იტკინა. „ლოკომოტივის“ ექიმ ალექსანდრ იარდოშვილს მის განსაკურნავად ორთვენახევარი დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენებურმა საქართველოს ნაკრებში ორი მატჩი გამოტოვა — მეზობელ სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდებთან. ზაზა ვერც კვირას დაუპირისპირდება ესტონელებს.

ზაზა ჯანაშია

სარბიელის არქივიდან

„ვიცით, იგი გამოჯანმრთელდა, გუნდთან ერთად ვარჯიშსაც შეუდგა, თუმცა, როგორც გვაცნობეს, ზედმეტი წონა აწუხებს, ამიტომ ზაზას გამოძახებისგან ამჯერად თავს შეიკავებთ“ — ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ჯერ კიდევ ათი დღის წინ გვითხრა.

როგორც ჩანს, ჯანაშიამ ამ ათ დღეში ზედმეტი წონის პრობლემაც წარმატებით გადაჭრა, რადგან დღეს „ლუჟნიკებზე“ „ტორპედოს“ წინააღმდეგ შეხვედრაში კლუბის თავკაცი იური სიომინი ქართველი ფეხბურთელის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას აპირებს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ცოტა ხნის წინ გუნდის ერთ-ერთი თავდამსხმელი პიმენოვი დაშავდა. სხვათა შორის, რუსული მასმედია აღნიშნავს, რომ ჯანაშია „ლოკომოტივის“ ბოლო ვარჯიშებზე ძველებურად გამოიყურება. ზაზამ ამას წინათ „ანჟისთან“ საკონტროლო მატჩიც ჩაატარა და საკმაოდ კარგადაც.

„ლოკომოტივის“ შემადგენლობაში დღეს შესაძლოა სხვა ცვლილებებიც მოხდეს. მეათე ტურში ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“ შინ სენსაციური მარცხის შემდეგ (0:3) სიომინმა შეგირდები სამდღიან შვებულებაში გაუშვა, იქიდან დაბრუნებულები კი საკმაოდ დატვირთა და „ტორპედოსთან“ გულმოდგინედ ავარჯიშებდა.

ასე რომ, ზაზა ჯანაშია მინდორზე გასასვლელად ისევ მზადაა. მოსალოდნელია, რომ მასთან ერთად დღევანდელ მატჩში „ლოკომოტივს“ ოგანესიანი, ლავრიკი და პაშინინიც დაუბრუნდებიან.

ვანო ოძროპირიძე

ცაცია ქინქლაძე მემარცხენე არ არის

— უკვე ექვსი თვეა, „დერბიში“ თამაშობ. კმაყოფილი ხარ?

— ჩემთვის მთავარი ის იყო, „აიაქსიდან“ წავსულიყავი და თამაშის საშუალება მქონოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად აეწყო, თანაც ინგლისში, პრემიერლიგაში დავბრნუდი. „დერბი“ საკმაოდ ნორმალური გუნდია, მეც თავს მშვენივრად ვგრძნობ, რაც მთავარია, მწვრთნელი ჯიმ სმიტი მენდობა და ჩემი დიდი იმედი აქვს.

— როგორ ფიქრობ, ფორმა საბოლოოდ აღიდგინე?

— მგონი კი. თავიდან სამი თვე გამიჭირდა. უთამაშებელი ვიყავი, ამას ახალი გარემოც დაემატა. ახალი მწვრთნელი, ფეხბურთელები, რა ვიცი, კიდევ ბევრი რამ. თავგამოდებით ვვარჯიშობდი, ზოგჯერ ღღეში სამჯერ. შეეგუე იქურობასაც და ნელ-ნელა თამაშსაც მოვუმატე. ბოლო სამ თვეს აღარაფერი გამჭირვებია. შემიძლია ვთქვა, რომ ძველებურ, ეგებ უკეთეს ფორმაშიც ვარ. თებერვლის შუა რიცხვებში უკვე ვიგრძენი, უსაშველო არაფერი იყო, პრაქტიკა მჭირდებოდა.

— არაფერი გაჟლია?

— უნაკლო რომელი ფეხბურთელია?! თუ ფიზიკურად უკეთ ვიქნები მომზადებული და 90 წუთს სრული დატვირთვით ვითამაშებ, ჩავთვლი, რომ ყველაფერი კარგადაა. ისე კი, 16-17 წლის ბიჭი აღარ ვარ, რაიმე განსაკუთრებული ნაკლი მქონდეს და ღღედაღამ იმის გამოსასწორებლად ვივარჯიშო.

— „დერბისთან“ სამწლიანი კონტრაქტი ბევრი ხომ არ არის?

— ეს ჩემზე არ იყო დამოკიდებული. „დერბიმ“ „აიაქსს“ ფული გადაუხადა და... ისეთი ვითარება შეიქმნა, ჩემს პირობებს ვერ შევთავაზებდი. მათ უნდა დავთანხმებოდი. ისე კი არა მგონია, „დერბიში“ ისეთი პრობლემები მქონდეს, როგორიც „აიაქსში“.

— რას გულისხმობ?

— ტრანსფერს.

— უფრო კონკრეტულად?

— რომელიმე ძლიერი, ჩემთვისაც სასურველი კლუბი თუ მოინდომებს, თავისთან გადამიბიროს, „დერბი“ ალბათ გამიშვებს, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

— რამდენზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი, არც დავინტერესებულვარ.

— როცა კონტრაქტის ხელმოწერაზე მიდგა საქმე, „დერბის“ ხელმძღვანელობისთვის არაფერი გითქვამს?

— რა უნდა მეთქვა? ერთი შევთავაზე მხოლოდ, სამწლიანის ნაცვლად ერთი პლუს ერთი გავაფორმოთ-მეთქი. უარი მითხრეს. სხვა რა გზა მქონდა, დავთანხმდი.

„რაც მაქვს, ვერავინ წამართმევს, ნიჭს ვგულისხმობ. არაფერი დამვინყება, ერთი თვის ვარჯიში და ყველაფერი კარგად იქნება. მოვუმატებ აბა, რა იქნება. შესაძლებლობები ბოლომდე კიდევ არ გამომივლენია“...

თითქმის წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი ქინქლაძემ ეს თქვა. მაშინ ამსტერდამის „აიაქსის“ საკუთრება გახლდათ და დაინტერესებულთ მის სანაცვლოდ დიდი ფულის გადახდას სთხოვდნენ. მაშინ გიო კარგა ხნის უთამაშებელი იყო მწვრთნელთან კონფლიქტის გამო. სხვადასხვა გუნდები კი ეპატიჟებოდნენ, მაგრამ საქმე ფულზე რომ მიდგებოდა... მაშინ გიო გულდაწყვეტილი, ნაღვლიანად საუბრობდა, იმედი კი მაინც ჰქონდა, გამოჩნდება ახალი კლუბი და მეც ძველებურად ავთამაშდებიო. კიდევ რამდენიმე თვე მოუწია ლოდინმა. მარტო, თავისთვის ვარჯიშობდა. მერე ინგლისიდან, „შეფილდიდან“ შეეხმიანნენ, მაგრამ საქმე ვერ აეწყო, მოგვიანებით გიოს გადაბირება პრემიერლიგის „დერბიმ“ გადაწყვიტა, იგი „აიაქსიდან“ითხოვა და რამდენიმე თამაშის შემდეგ, როცა მწვრთნელი დარწმუნდა, რომ გიო მართლაც კარგი ფეხბურთელი იყო, სახელოვან ამსტერდამულ კლუბს საბოლოოდ განარიდა და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

გიორგი ქინქლაძე ძველ ფორმას ნელ-ნელა იბრუნებდა. თამაშიდან თამაშემდე აშკარად უმატებდა. ეროვნულ გუნდშიც, რა თქმა უნდა, ისევ გამოიძახეს, გოლების გატანაც გაიხსენა. და მაინც, გიოს რალაც აკლადა, თავადვე ამბობდა, ცოტაც მადროვეთო.

ამასობაში კი ზაფხულიც დადგა. ინგლისში სეზონი მორჩა, ის შვებულებაშია, თუმც მაინც ვარჯიშობს, საქართველოს ნაკრებშია მიწვეული. ერთხელ, ბაქოში, უკვე ითამაშა, ახლა საესტონეთოდ ემზადება.

„აიაქსი“ და იქაური უსიამოვნო ამბები წარსულს ჩაბარდა. ხასიათიც გამოუკეთდა — გიო ათამაშდა. ახალი ინტერვიუს დროც დადგა.

— სეზონი ახლახან დამთავრდა და უკვე ამბობენ, გიოს ცნობილი კლუბები ეპატიჟებიან, მათ შორის „ლივერპულიო“. მართალია?

— ვერაფერს გეტყვი, ჩემთვის არაფერი უთქვამთ, ამ თემაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა.

— მაუ, ჰორია?

— ეგრე გამოდის.

— მომავალი სეზონისთვის „დერბის“ ბევრი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს?

— ვიცი, რომ რამდენიმე კარგ ფეხბურთელს დაადგეს თვალი. საამისოდ ფულიც აქვთ გადადებული.

— ჩვენთვის ნაცნობი ხომ არაა ვინმე?

— არა, არავინ.

— ახლა „დერბის“ მწვრთნელმაც, „აიაქსის“ ოლსენივით, ფლანგზე თამაში რომ დაგავალოს, რას იზამ?

— ამას არ გააკეთებს, დარწმუნებული ვარ. ამ საკითხზე უკვე ვესაუბრეიცის, რომ მხოლოდ ფლანგზე თამაში არ შემიძლია, შუაში უნდა შევიწოხლმე, ჩარჩოში ვერ მოვექცევი. იყო კიდეც მატჩები, როცა მარცხენა მხარეს დამაყენა, მაგრამ არ შევუზღუდივარ.

— დაცვაში თამაშს არ გთხოვს?

— როგორ არა, მეც რაც შემიძლია, ვაკეთებ, არაფერს ვთაკილობ. ინგლისში ისეთი ფეხბურთია, ზოგჯერ მეკარეც კი თავდამსხმელებს ეხმარება და უკან თუ არ დაიხიე, ისე არაფერი გამოვა, მეტოქეს უპირატესობა ექნება.

— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. ისევ ძველებურად, უნდა დაგვწყვიტოთ გული?

— ჩვენ, ფეხბურთელები, მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხალხი გავახაროთ და როგორც გვეკადრება, ისე ვითამაშოთ. კარგი შემადგენლობა გვყავს, მწვრთნელებიც და უკეთესადაც ვითამაშებთ.

— აქამდე რა გიშლიდათ ხელს?

— მიზეზებს რა დალევს. ვერაფერს გეტყვი... ნაკლები პროფესიონალიზმი, არასაკმარისი გამოცდილება...

— შენი აზრით, წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი ვინ არის?

— გეთანხმებით ჟურნალისტებს — ლევან კობიაშვილი. ჩინებული სეზონი ჰქონდა. ჩემი სამეულიც თქვენნაირი იქნებოდა — კობიაშვილი, კალაძე, დემეტრაძე. სამივემ ძალიან კარგად ითამაშა.

ძოგბა ინასარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი **II ეტაპი** სტატისტიკა

«ბ» ზონა

გუშინდელ „სარბიელში“ მეორე ეტაპის „ა“ ზონის სრული სტატისტიკა დაიბეჭდა, დღეს კი ციფრებში ასახული „ბ“ ზონა იხილეთ.

დღესაც, ისევე როგორც გუშინ, მეორის მონაცემებს პირველ ეტაპთან მხოლოდ გუნდების ბომბარდირები (ორი ეტაპის ჯამში) აკავშირებს. ხვალინდელ „სარბიელში“ მთელი ჩემპიონატის გაერთიანებულ სტატისიკას შემოგთავაზებთ, ზეგინდელში კი ჩემპიონატის ყველა მეგოლესაც ჩამოვწერთ.

ზონის სტატისტიკა

ტური	14
მატჩი	56
გოლი	144
გოლი საშუალოდ მატჩში	2,57
გოლი საშუალოდ ერთ ტურში	10,2
მასპინძელთა მოგება	32 (57%)
ფრეები	7 (13%)
სტუმართა მოგება	17 (30%)
საერთო დასწრება	33 160
საშუალო დასწრება მატჩზე	592
საუკეთესო დასწრება ტურზე	III: 4 100
მწირი დასწრება ტურზე	IX: 960
უხვგოლიანი ტური	VIII: 18
გოლმწირი ტური	III: 5

გუნდების ბომბარდირები

№	გუნდი	ბომბარდირი	გოლი	გუნდის %
1	არსენალი	კაკაშვილი	6	23
2	გორდა	ვ. კილასონია	22	52
3	თბილისი	გადელია	7	21
4	თსუ	წუწუნავა	15	39
5	ლოკომოტივი	ქებაძე	9	21
6	მერანი	დავითაშვილი	7	17
7	სამგურალი	სუხიაშვილი	4	15
8	ხობი	ვ. ჩიტაია	12	43

უხვმაყურებლიანი მატჩები

№	მატჩი	დასწრება	ტურის №
1	გორდა— ლოკომოტივი 1-0	2 000	7
	ლოკომოტივი — სამგურალი 0-0	2 000	3
3	გორდა — სამგურალი 1-2	1 500	11
	მერანი — გორდა 0-0	1 500	3
5	გორდა — თსუ 3-0	1 200	13

უხვგოლიანი მეოთხედი

№		დროის მონაკვეთი	გოლი	%
1	VI მეოთხედი	75-90 წუთი	39	27
2	V მეოთხედი	61-75 წუთი	34	23
3	II მეოთხედი	16-30 წუთი	22	15
4	III მეოთხედი	31-45 წუთი	20	14
5	I მეოთხედი	01-15 წუთი	16	12
6	IV მეოთხედი	46-60 წუთი	13	9

ყველა ანგარიში

	არს	თბ	გორდ	ხობ	ლოკ	მერ	სამგ	თსუ	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	№
არსენალი		4:2	0:4	4:2	0:1	0:2	2:1	0:2	14	3	0	11	11:27	14	15
თბილისი	2:0		1:4	3:0	0:1	0:1	0:0	0:4	14	3	2	9	12:26	18	14
გორდა	3:0	2:0		2:0	1:0	1:1	1:2	2:0	14	8	2	4	25:10	34	10
ხობი	2:1	1:2	1:4		0:7	1:2	0:2	2:4	14	1	0	14	13:45	8	16
ლოკომოტივი	1:0	1:1	2:1	4:1		0:0	0:0	3:0	14	8	3	3	22:8	36	11
მერანი	1:0	4:0	0:0	1:0	3:1		0:0	1:0	14	9	4	1	18:5	39	9
სამგურალი	2:0	2:1	2:0	2:1	1:0	0:1		3:1	14	8	3	3	17:8	33	13
თსუ	2:0	2:0	1:0	7:2	0:1	2:1	1:0		14	9	0	5	26:15	35	12

მოგებათა სერია

№	გუნდი	მოგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	სამგურალი	5	მ	10	14
2	გორდა	3	დ	7	9
	თსუ	3	დ	10	12
4	არსენალი	2	დ	5	6
	ლოკომოტივი	2	დ	8	9
	მერანი	2	დ	13	14
7	თბილისი	1	დ	13	13
	ხობი	1	დ	2	2

უფრეო სერია

№	გუნდი	უფრეოდ	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	არსენალი	14	მ	1	14
	ხობი	14	მ	1	14
	თსუ	14	მ	1	14
4	თბილისი	6	დ	1	6
	გორდა	6	დ	4	9
6	ლოკომოტივი	5	დ	7	11
	სამგურალი	5	მ	10	14
8	მერანი	4	მ	11	14

ფრეთა სერია

№	გუნდი	ფრე	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	მერანი	2	დ	9	10
2	თბილისი	1	დ	12	12
	გორდა	1	დ	10	10
	ლოკომოტივი	1	დ	12	12
	სამგურალი	1	დ	9	9
6	არსენალი	0	დ	0	0
7	ხობი	0	დ	0	0
8	თსუ	0	დ	0	0

წაუგებელი სერია

№	გუნდი	არწაგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	მერანი	11	დ	1	11
2	სამგურალი	9	მ	6	14
3	ლოკომოტივი	6	დ	1	6
4	გორდა	4	დ	7	10
5	თსუ	3	დ	10	12
6	არსენალი	2	დ	5	6
	თბილისი	2	დ	12	13
8	ხობი	1	დ	2	2

წაგებათა სერია

№	გუნდი	წაგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	ხობი	12	მ	3	14
2	არსენალი	5	მ	10	14
3	თბილისი	3	დ	4	6
4	სამგურალი	2	დ	1	2
	თსუ	2	დ	8	9
6	გორდა	1	მ	14	14
	ლოკომოტივი	1	დ	13	13
	მერანი	1	დ	12	12

უგოლო სერია

№	გუნდი	უგოლოდ	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	არსენალი	5	მ	10	14
2	სამგურალი	3	დ	1	3
3	თბილისი	2	დ	7	8
	გორდა	2	დ	3	4
	ლოკომოტივი	2	დ	6	7
6	ხობი	1	დ	13	13
	მერანი	1	დ	9	9
	თსუ	1	დ	13	13

მოუგებელი სერია

№	გუნდი	ვერმოგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	ხობი	12	მ	3	14
2	თბილისი	6	დ	4	9
3	არსენალი	5	მ	10	14
4	სამგურალი	3	დ	1	3
5	გორდა	2	დ	10	11
	ლოკომოივი	2	დ	12	13
	მერანი	2	დ	9	10
	თსუ	2	დ		

მშრალი სერია

№	გუნდი	მშრალად	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	ლოკომოტივი	5	დ	2	6
2	მერანი	5	დ	5	9
3	გორდა	3	დ	1	3
4	სამგურალი	2	დ	12	13
	თსუ	2	დ	10	11
6	თბილისი	1	დ	13	13
7	არსენალი	0	დ	0	0
	ხობი	0	დ	0	0

ამპლუათა შედეგიანობა და მეოთხედებში ბურთების შეფარდება

	დაცვა		შუახაზი		თავდასხმა		01-15			16-30			31-45			46-60			61-75			76-90		
გუნდი	გოლი	%	გოლი	%	გოლი	%	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ
არსენალი	0	0	5	45	6	55	1	3	-2	1	2	1	0	6	-6	2	2	0	3	6	-3	4	8	-4
გორდა	3	12	4	16	8	72	2	0	2	4	2	2	6	2	4	2	3	-1	4	1	3	7	2	5
თბილისი	1	8	2	16	7	76	3	4	-1	2	4	-2	1	2	-2	2	6	-4	2	3	-1	2	7	-5
თსუ	6	23	3	11	17	65	2	1	1	3	4	-1	4	1	3	4	4	0	5	2	3	8	3	5
ლოკომოტივი	1	4	2	9	19	87	4	1	3	4	1	3	3	1	2	3	0	3	3	2	1	5	3	2
მერანი	2	12	8	44	8	44	3	1	2	3	1	2	3	1	2	2	1	1	2	0	0	5	1	4
სამგურალი	1	6	9	52	7	42	0	2	-2	5	1	4	2	0	2	4	1	3	4	2	2	2	2	0
ხობი	2	16	1	8	10	76	1	4	-3	0	7	-7	1	7	-6	4	6	-2	1	8	-7	6	13	-7

შენიშვნა სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე; ამპლუთა შედეგიანობის და მეოთხედებში ბურთების შეფარდების ცხრილში გატ: გატანილი, გაშ: გაშვებული და სხვ: სხვაობა

პელემ ასე ბრძანა

ფეხბურთის მეფის საევროპო პროგნოზი

პელე აქლემზე

პროგნოზები მოყვარული კაცია პელე. ტურნირი არ იქნება, თავისი ვარაუდი არ გამოთქვას, ჩემპიონი ესა და ეს გუნდი გახდებაო.

ევროპის პირველობა კარს მოგვადგა და პელემაც თავისი ფავორიტები დაასახელა: ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია. „ინგლისელთა დიდი იმედი მაქვს — ამბობს პელე — მართალია, მათ ევროპის ჩემპიონობა არასდროს მოუპოვებიათ, სამაგიეროდ, ამაყი ხალხია. ამას მას შემდეგ ავლენენ, რაც ფეხბურთი გამოიგონეს.“ მაგრამ ევროპაში ქედუხრელი სხვებიც არიან. კიდევ რა არგუმენტს ასახელებს პელე ინგლისელთა უპირატესობის დასამტკიცებლად? „საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავდათ, რომელთა თამაშითაც დიდად ვისიამოვნე. უპირველესად მაკმანამანს დავასახელებდი. სტიკი ენერგიული და მაღალი კლასის მოთამაშეა, თანაც მეტოქე მცველთა რისხვაა. ამ ორ წელიწადში ის კიდეკვ უფრო გაიზარდა.“

როგორც ვთქვით, პელეს მეორე ფავორიტი ესპანეთია: „მათ ევროპაში საუკეთესო კლუბები ჰყავთ. ნაკრების სიძლიერე კი კლუბებისაზეა დამოკიდებული. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელებმა ცუდად ითამაშეს, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა ნაკრები ერთობ გააძლიერა.“

და ჰოლანდიის შესახებ: „კრუიფის დროიდან ჰოლანდიას ვგულშემატკივრობ — ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. ფრანკ რაიკარდიც მომწონს, კარგი მწვრთნელია, კრუიფის სკოლა გაიარა. მხოლოდ ერთი ვერ გამიგია — რაიკარდმა ნახევარდაცვაში ედგარ დავიდსი და კლარენს ზეედორფი გაამწესა, ხოლო თავდასხმაში — მარკ ოვერმარსი და დენის ბერხკამპი. ვფიქრობ, ამგვარი განლაგებით ჰოლანდიელებს გაჩემპიონება გაუჭირდებათ.“

პელეს ტურნირის აღმოჩენად პორტუგალიის ნაკრები მიაჩნია. ისინი ბურთს დიდებულად ფლობენ და ბევრსაც გაამწარებენო, ამბობს. თუმცა ერთი ხინჯი მაინც მოუძებნა, კარგი მეგოლეები არ ჰყავთო.

გერმანიას კი პელემ იმედი გადაუწურა: „გერმანელები გადაბერდნენ, ძალიან ბევრი ასაკოვანი ფეხბურთელი ჰყავთ. თანაც მათიას ზამერმა და იურგენ კლინსმანმა ფეხბურთს თავი დაანებეს. ერთადერთი ოლივერ ბირჰოფმა შეიძლება რაიმე მოახერხოს.“

აი, ასეთია პელესეული პროგნოზები. ისე, მაინცდამაინც ნუ ენდობით — 1994 წელს ამბობდა, კოლუმბია მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო, ხოლო მერე იმასაც ამტკიცებდა, მაიკლ ოუენი მანჩესტერელიაო.

გიორგი დარჯანია

ყოველი ინგლისელი პოტენციური ხულიგანია

ევროპის ჩემპიონატის დღეებში ბელგიასა და ჰოლანდიას ზღვა ხალხი მიაწყდება. ჰოდა, როგორი საქმეა თითოეული მათგანისთვის თვალყურის დევნება, ემანდ მათ შორის ხულიგნები არ იყვნენ, რაიმე ცუდი არ ჩაიდინონო. ცხადია, მასპინძელი ქვეყნების პოლიციელები მარტონი ვერაფერს გახდებიან, თუ ვინმემ დახმარების ხელი არ გაუწოდა. ეს სხვა კი ვინ იქნება, თუ არა ისევ პოლიციელები.

REUTERS ბრიუსელიდან

ბრიუსელი, ჩემპიონატამდე რამდენიმე დღეა. ტექნიკურად და ტაქტიკურად ბელგიის პოლიციაც ემზადება

ბრიტანეთის კრიმინალური პოლიციის შეფმა ბრაიან დრიუმ სამშაბათს ლონდონში მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბელგიელ და ჰოლანდიელ კოლეგებს ათასი ინგლისელი საფეხბურთო ხულიგნის სიას გადასცემს. მათგან ასს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სტადიონზე საერთოდ არ უშვებენ, ოთხასი აყალმაყალის მოყვარულისთვის კი ეს აკრძალვა მხოლოდ ინგლისში ვრცელდება, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია. დანარჩენები კი წვრილმანი შფოთისთავები, ბობოლათა დამქაშები არიან. დრიუმ თქვა, რასაც შეგვიძლია, გავაკეთებთ და კოლეგებს გვერდში ამოვუდგებით, დანარჩენი კი მათ მარიფათზე იქნება დამოკიდებულიო.

ინფორმაციული მხარდაჭერის გარდა, ბელგია — ჰოლანდიას ბრიტანელი პოლიციელებიც ეწევიან და იქაურ კოლეგებს კონსულტაციებს გაუწევენ. მართალიცაა, ინგლისელ ხულიგანს ინგლისელი პოლიციელის თვალი უკეთ არ დაინახავს?

მაინც, როგორ გამოიყურება ინგლისელი ხულიგანი? ბრაიან დრიუ: „ისინი 18-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანები არიან. მათ შორის უმუშევრებიც გვხვდებიან და უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებიც“. რა გამოდის? ყოველი ინგლისელი გულშემატკივარი შეიძლება პოტენციური კანონდამრღვევი იყოს.

სასჯელი კი ძალიან მკაცრი იქნება. იმავე დრიუს თქმით, ერის შემარცხვენლები მხოლოდ დეპორტაციით ვერ გადარჩებიან, მათ ციხეში ამოაყოფინებენ თავს. რატომ, მიმართავენ ასეთ უკიდურეს ზომებს? მოგეხსენებათ, ინგლისი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის. ამ საკითხზე ფიფას აღმასკომი 5-6 ივლისს იმსჯელებს. ჰოდა, რა გასაკვირია — თუ ზედ კენჭისყრის წინ ინგლისელებმა მუშტი-კრივი გამართეს, გამარჯვების შანსი ერთიორად შეუმცირდებათ.

პოლიცია გერმანიაშიც ემზადება

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვოლფგანგ ოლიერ ბრაუნი სამშაბათს ჩრდილოეთ ვესტფალიის მხარეს ესტუმრა და დიუსელდორფში მხარის შინაგან საქმეთა მინისტრ ფრიც ბეჰრენსს შეხვდა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, საფეხბურთო მოლაპარაკებისა და პოლიციელის საუბრის თემა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების მსურველთა გაცხრილვა ანუ ხულიგანთა გამოვლენა გახლდათ. და რა შუაშია აქ არა ფედერალური, არამედ ჩრდილოეთ ვესტფალიის მინისტრი? საქმე ის არის, რომ ეს მხარე უშუალოდ ესაზღვრება ჰოლანდიას. შესაბამისად, პოლიციის კართოთეკებში რიცხული ხულიგნები მალულად შეეცდებიან, ვესტფალიის გავლით ევროპული ფეხბურთის ეპიცენტრში მოხვედრას.

ფრიც ბეჰრენსი და მისი პოლიციელები ძალიან დაიტვირთებიან. მომდევნო სამი კვირის მანძილზე თავიანთი პირდაპირი მოვალეობების შესრულების გარდა საზღვრის დამრღვევებსაც უნდა ებრძოლონ.

ზემოთ პოლიციის კართოთეკა ვახსენეთ. გერმანელი ქომაგები ცხვრებივით უწყინარნი არასდროს ყოფილან, მაგრამ მსოლფიოს ბოლო ჩემპიონატზე განსაკუთრებულად მოინდომეს. გეხსომებათ, ოთხმა გალეშილმა გერმანელმა ფრანგი ჟანდარმი სასტიკად სცემა და მას მერე ეს უკანასკნელი ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვა. ამ შემთხვევამ გერმანელებს თავი მოჭრა და ისინიც უფრო გააქტიურდნენ. გააქტიურებას კი კართოთეკების შექმნა მოჰყვა.

ფრიც ბეჰრენცის თქმით, მას ჩრდილოეთ ვესტფალიაში მცხოვრები 1 100 ხულიგანი აღრიცხული ჰყავს. ეს კარგი, მაგრამ ყველას სათითაოდ ხომ არ დაუწყებენ დევნას? მინისტრმა ასეთ ხერხს მიმართა, 40 ყველაზე აქტიური წესრიგის დამრღვევი ჩემპიონატის დროს ყოველდღიურად პოლიციის განყოფილებაში უნდა გამოცხადდეს და ჟურნალში ხელმოწერით დაადასტუროს, აქ ვარ და ბელგია — ჰოლანდიაში წასვლა აზრად არ მომსვლიაო.

მთავრობა არაფერია, ფეხბურთი — ყველაფერი

ბევრ ქვეყანაში, მეტადრე სამხრეთულებში, ასეა, პოლიტიკოსს ფეხბურთი თუ არ უყვარს, ხალხის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ბელგიაში გამგზავრების წინ იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯულიანო ამატომ „სკუადრა აძურა“ თავისთან მიიწვია და ჟურნალისტთა თანდასწრებით მათთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

შეხვედრის წინ პრემიერმა, როგორც ჩანს, ტოტალიზატორთა ფსონებს გადახედა და იტალიის ნაკრები ფავორიტთა შორის ვერ იხილა. მაგრამ ამატო ინტიბარს არ იტეხს, ფეხბურთელთათვის უთქვამს: მსმენია, თავიდანვე ფავორიტად შერაცხულნი ტურნირს ცუდად ამთავრებენ, ამიტომ რაც უფრო ნაკლებად დაგვაფასებენ, უკეთესიც კიაო.

აღვნიშნოთ, რომ ბრიტანელ ბუქმეიკერთა აზრით, ევროპის ჩემპიონატის მოგების მეტი შანსი ჰოლანდიას, საფრანგეთს და ესპანეთს აქვთ. ამ ჩამონთვალში იტალიელებს მეოთხე ადგილი უჭირავთ.

ჯულიანო ამატომ კი თავის სიტყვაში ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ შეახსენა ის, რაც ყველამ ისედაც კარგად იცის: „იტალიელი ერი ფეხბურთზე ფანატიკურადაა შეყვარებული. მისთვის ნაკრების მარცხი უფრო დიდი უბედურება იქნება, ვიდრე, ვთქვათ, მთავრობის ცუდი მუშაობა. გახსოვდეთ, მთელი იტალია ჩვენი გამარჯვების იმედად არის“.

პირობას თუ შეასრულებენ...

გმრქვას ევროპის ჩემპიონი — თავდაუზოგავი ბრძოლისთვის ესეც საკმარისი მოტივია, მაგრამ დამატებით სტიმულზეც ვინ იტყვის უარს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, თითოეული ესპანელი ფეხბურთელი 45 მილიონ პესეტას (254 900 დოლარი) მიიღებს. თან არა აქვს მნიშვნელობა, ესა თუ ის მოთამაშე ექვსივე მატჩში მიიღებს მონაწილეობას თუ გუნდში 22-ე კაცი იქნება. გადაწყვეტილება ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა ფერნანდო იეროსა და რაულს ამცნო, მათ კი, თავის მხრივ, დანარჩენ მეგობრებს ახარეს.

გულს არც ნაკრების მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოს დაწყვეტენ, მისთვის 90 მილიონი პესეტაა (509 800 დოლარი) გადადებული. უნდა ითქვას, რომ ლორენსო სანსი ვილიარზე გულუხვი გამოდგა. ჩემპიონთა ლიგის მოგების მერე მადრიდელთა პრეზიდენტმა თავის თითოეულ ფეხბურთელს 600 მილიონი პესეტა (339 800 დოლარი) გადასცა. ნაკრებში კი ხუთი რეალელია: უკვე ნახსენები იეროსა და რაულის გარდა, მეკარე იკერ კასილიასი და მცველები — ივან ელგერა და მიჩელ სალგადო. ისინი ჯიბეს კიდევ უფრო გაისქელებენ, თუ ერთ პირობას შეასრულებენ — ევროპის ჩემპიონები გახდებიან. ძნელია?

პატიმართა ოცნება

რას იზამენ ბელგიელი პოლიციელები, თუკი მავანმა გულშემატკივარებმა ჩხუბი, ვიტრინების მსხვრევა და სხვა მსგავსი უმსგავსო საქციელის ჩადენა განიზრახეს? ცხადია, დააპატიმრებენ, მაგრამ...

მოგეხსენებათ, ადამიანი რომ დააპატიმრო, ციხე უნდა გქონდეს. ბელგიაში კი რა ხდება? არა, ციხეები კი აქვთ, მაგრამ იქ თავისუფალი ადგილების სიმცირეს უჩივიან. ქვეყნის იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ბელგიური ციხეები სულ 8 500 პატიმარზეა გათვლილი და მთლიანად სავსეა. რა იღონონ? მათ აზრად არ მოსდით, რომ, ვთქვათ, ათკაციან საკანში ოცდაათი შეუშვან, ამიტომ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს. მინისტრის საგანგებო ბრძანებით, 150 სანიმუშო ყოფაქცევის მსჯავრდებულს ჩემპიონატის დღეებში შინ გაუშვებენ და გამოთავისუფლებულ ადგილებს პოტენციური ხულიგნებისთვის შეინახავენ. ალბათ, დანარჩენი პატიმრები ოცნებობენ, ნეტავ, ბევრი ხალხი დაიჭირონ, ჩვენც შვებულებას ძოგვცემენო.

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე



☎ 93 15 72

კრისტიან ციგე გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ბუნდესნაკრებს დღეს ბევრი აკრიტიკებს, ფიქრობენ, რომ ოთხი წლის წინ მოპოვებულ ევროპის ჩემპიონის ტიტულს გერმანელები ვერ შეინარჩუნებენ. რას ფიქრობს ამაზე და კიდევ სხვა საინტერესო საკითხებზე „მიდლსბროს“ ფეხბურთელი?

ნუ გვაშინებთ!

— როგორ შეაფასებთ გერმანიის ნაკრების შანსებს ევროპის მომავალ ჩემპიონატზე, გჯერათ თუ არა წარმატების?

— ბოლოდროინდელი შედეგების შემყურე ხალხი ამბობს, რომ გერმანიის ნაკრებს თავდაჯერებულობის საბაბი არა აქვს, თუმცა მე პირადად ასე არ ვთვლი. ჩვენ ნებისმიერ ტურნირზე მხოლოდ მაქსიმალური მიზნისთვის ვიბრძვით. რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა მართლაც ცუდად ჩავატარეთ. ამის ნამდვილ მიზეზს ვერ ვიტყვი, მაგრამ ასეთები ადრეც მომხდარა.

— გაღელვებთ თუ არა, რომ გერმანიის ახლანდელი ნაკრებს ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში ერთ-ერთ სუსტ გუნდად მიიჩნევენ?

— სიმართლე გითხრათ, არა. გასაგებია, რომ ევრო 2000-ის წინა პერიოდი არც თუ ძლიერად ჩავატარეთ. მაგრამ ჩვენ ისე ვემზადებოდით, როგორც ორი ან თუნდაც ოთხი წლის წინ, გუნდის საერთო განწყობა ახლაც იმვარია, როგორც 1996 წლის ევროპისა და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე. შემართება და საკუთარი თავის რწმენა ჯერაც არ დაგვიკარგავს.

— გავრცელდა ჭორები, თითქოს გერმანელთა ბანაკში განხეთქილებაა, ყველაზე ხშირად მწვრთნელ ერიხ რიბეკსა და ნახევარმცველ იენს იერემისს შორის უთანხმოებაზე საუბრობენ. ეს გუნდის საერთო განწყობაზე მოქმედებს?

— გავვოცდი, როცა იენსმა მასმედიის საშუალებით ნაკრები გააკრიტიკა. ყოველთვის ჯობს, უთანხმოება პირადად მოგვარდეს და გუნდის გარეთ არ გავიდეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი მოგვარდა, ნაკრებში ჩინებული განწყობაა, ყველა ჩვენგანი მხოლოდ ფინალურ ტურნირზე ფიქრობს. ვეცდებით, ჩვენი ერთსულოვნება მალე მინდორზე დავამტკიცოთ.

— როგორ ფიქრობთ, ევროპის ჩემპიონის ტიტულს ყველაზე მეტად რომელი ნაკრები შეგეცილებათ?

— ნამდვილად ძნელია, ივარაუდო, ევრო 2000-ს ვინ მოიგებს. ბევრი ძლიერი გუნდია. მგონი, ახლა გაცილებით მეტ ნაკრებს ძალუძს გამარჯვება, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ინგლისს ძლიერი გუნდი ჰყავს, თუმცა მათ არც ჰოლანდია ჩამორჩება. საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი... მათი დამარცხებაც ძალიან რთულია. ჰოლანდიელებს თებერვალში შევხვდით, მართლაც ჩინებული ფეხბურთი ითამაშეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

— გერმანიის ნაკრებიდან ევროპის ჩემპიონატზე რომელი ფეხბურთელი გაიბრწყინებს?

— თუ გაუმართლა და არ დაშავდა, ვგონებ, სებასტიან დაისლერი იყოჩაღებს. მან ტრავმა გადაიტანა, მაგრამ მაინც ძლიერად თამაშობს. თუმც, შესაძლოა გუნდის ლიდერის ფუნქცია ვერ იკისროს, ჯერ ახალგაზრდაა.

— სხვა ნაკრებებში რომელი ფეხბურთელები მოგწონთ?

— ინგლისელებს ორი გამორჩეულად ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ — დევიდ ბექემი და დენის უაიზი. ჰოლანდიელები პატრიკ კლუივერტი და ედგარ დავიდსიც ჩინებულ ფორმაში არიან, ნებისმიერ მეტოქეს გაუჩენენ თავსატეხს. ბრწყინვალედ თამაშობს ზინედინ ზიდანიც, ესპანელებს რაული ჰყავთ, პორტუგალიელებს — ლუიშ ფიგუ. საერთოდ, ევროპაში დღეს ბევრი ძლიერი ფეხბურთელია.

— როგორ ფიქრობთ, გერმანული პრესა უფრო მომთხოვნია, თავისი ნაკრების მიმართ, თუ ინგლისური?

— თითქმის მსგავსი სიტუაციაა. პრესა და მაყურებელი თავისი საყვარელი გუნდის მიმართ ყოველთვის მეტად მომთხოვნია. ასეა გერმანიაშიც, ინგლისშიც და იტალიაშიც. „მილანში“ გატარებული დრო კარგად მახსოვს... ნაკრების წაგება ეროვნული უბედურების ტოლფასია. გულშემატკივარს არ აინტერესებს მიზეზი, რატომ წააგო მისმა გუნდმა, ხშირად ავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ ფეხბურთია და ერთმა უნდა წააგოს, ხოლო მეორემ მოიგოს. შესაძლოა, გუნდი ძლიერი იყოს, მაგრამ მისი მეტოქე გაცილებით სჯობდეს და მსგავსი შემთხვევები ხშირია. ეს დაუშვებლად მიმაჩნია.

— ინგლისის ნაკრების შეტევის ხაზზე რას ფიქრობთ?

— ინგლისის ნაკრებს ამჟამად ბევრი ძლიერი თავდამსხმელი ჰყავს: მათ შორის არჩევანიც კი ძნელია. მოვიხიბლე ემილ ჰესკის თამაშით, როცა „მიდლსბრო“ მის ყოფილ გუნდს „ლესტერს“ ხვდებოდა. მწყობრშია მაიკლ ოუენიც. მან ტრავმა მოიშუშა და ნებისმიერი დონის მცველისთვის სახიფათოა. ალან შირერი კი უდიდესი დონის ფორვარდია, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

— გერმანიისა და ინგლისის უახლოეს ორთაბრძოლაზე რას იტყვით?

— თუ ევროპის ჩემპიონობა გსურს, ნებისმიერი დონის მეტოქეს უნდა ეთამაშო და დაამარცხო. მომავალი ჯგუფური შეხვედრა მართლაც პრინციპული იქნება. ინგლისი-გერმანია ოთხი წლის წინ, ბოლო ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც მეტოქეობდნენ, დღეს მეტ-ნაკლებად ორივე გუნდი შეიცვალა. საინტერესო ორთაბრძოლა იქნება...

თარგმანი ნიძა შუბლაძემ

კრისტიან ციგე საევროპოდ ემზადება

რომაელები ბატისტუტას გულთბილად შეეგებნენ

ბატისტუტა და დონატელოს დავითი

„ფიორენტინაში“ ცხრაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ გაბრიელ ბატისტუტამ „რომას“ მიაშურა. არგენტინელი მომავალი სეზონიდან რომაული კლუბის ღირსებას დაიცავს. ფლორენციელთა კერპის პროვინციიდან დედაქალაქში გადაბირება „რომას“ 34 მილიონი დოლარი დაუჯდა.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, რომი თქვენს გვერდითაა — ეწერა დიდ ტრანსპარანტზე, რომელიც დედაქალაქელმა ქომაგებმა რომში ჩასულ არგენტინელს შეაგებეს. სტადიონზე გამართული დახვედრის ცერემონიალს „რომას“ ათი ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო.

— „რომაში“ ჩამოვედი, რათა რაიმე დიდი ჯილდო მოვიგო. გუნდის პრეზიდენტს და მწვრთნელსაც სწორედ ეს მიზნები ამოძრავებთ — განაცხადა არგენტინელმა ფორვარდმა, რომელიც იტალიის დედაქალაქში სამ სეზონს გაატარებს და წელიწადში დაახლოებით 7 მილიონ დოლარს მიიღებს — „რომას“ ხელმძღვანელობას ჩინებული გეგმები აქვს. ნათელია, რომ დიადი მიზნებისთვის იბრძვიან.

არგენტინელი იქვე რომაული დერბის — „რომა“ — „ლაციოს“ თემასაც შეეხო: თუ „რომას“ სკუდეტოს მოგება სურს, აუცილებლად უნდა „გაიმარჯვოს“ სწინოს, რომ დერბი მთელი სეზონის მხოლოდ ნაწილი, ორი მატჩია. ქალაქური დერბი ყოველთვის პრინციპული უნდა იყოს, მაგრამ სხვა შეხვედრებსაც არანაკლები გულმოდგინებით უნდა მივეკიდოთ“.

შეგახსენებთ, რომ „რომამ“ სკუდეტო გუნდის ისტორიაში ორჯერ მოიგო. ბოლოს ეს 1983 წელს მოახერხა. იტალიის ამჟამინდელი ჩემპიონი და „რომას“ მუდმივი მოქიშპე „ლაციოც“ სკუდეტოს ორგზის მფლობელია. რომი ორად გაიხლიჩა, ერთი ნაწილი „ლაციოს“ ქომაგობს, მეორე — „რომას“. ამიტომ, ბატისტუტას „რომაში“ გადასვლას დედაქალაქელი ქომაგები ერთგვაროვნად როდი შეხვდნენ.

ბატისტუტამ „ფიორენტინაც“ ახსენა — შეუძლებელია დავივიწყო ის, რაც ფლორენციასთან მაკავშირებს — თქვა ფორვადმა — ცხრა წელი „ფიორენტინაში“ გავატარე, ჩემი სამივე შვილი იქ დაიბადა, ისინი ფლორენციელები არიან, იქაურობა ყოველთვის მემახსოვრება.

ბატისტუტას თანამემამულე და აწ უკვე ყოფილი თანაკლუბელი აბელ ბალბო „რომადან“ „ფიორენტინაში“ შარშან გადავიდა და, როგორც გაირკვა, მასაც დიდი როლი უთამაშია ბატისტუტას ტრანსფერში:

— ბალბო ყოველთვის კარგს მიყვებოდა „რომაზე“, მან დედაქალაქში რამდენიმე ჩინებული სეზონი გაატარა, როცა კლუბს ვიცვლიდი, რჩევა მასაც ვკითხე.

გაბრიელ ბატისტუტას ფლორენციიდან გაშვება „ფიორენტინას“ ერთგულ ქომაგებს და გუნდის პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის არ სურდათ.

ჩეკი გორი ბატისტუტას გაყიდვას არ აპირებდა, ადრე უთქვამს კიდეც: „ბატისტუტა დონატელოს „დავითივითაა“. იგი ფლორენციის კუთვნილება და უმვირფასესი განძია“.

ფლორენციამ განძი ვერ შეინარჩუნა... ბატისტუტა ახლა რომისაა.

მეფე ჰასან II-ის თასი

ფინალი

საფრანგეთი 5:1 მაროკო

1:0 ანრი (26), 2:0 ჯორკაეფი (56ბ), 2:1 ელ კარკური (66), 3:1 დიუგარი (75), 4:1 ანელკა (84), 5:1 ვილტორდი (90)

საფრანგეთი: ლამა, კანდელა, ლებეფი, დესაი, კარემბუ, ვიეირა, მიკუ (დეშამპი 70), ჯორკაეფი (ზიდანი 60), დიუგარი (ვილტორდი 89), ანელკა, ანრი (პეტი 75)

მწვრთნელი: როჟე ლემერი

მაროკო: ფუამი, მარიანა, ელ კარკური, ნაიბეტი, საბრი, მბარკი (ელ ხატარი 63), ჰდიუ, აბრამი (კარბუში 58), ელ ასასი, ბასირი, ზერუალი

მწვრთნელი: ანრი მიშელი

მსაჯი: ალი ბუჯსიმი (საუდეთი)

55 000 მაყურებელი

მატჩი მესამე ადგილისთვის

იაპონია 4:0 იამაიკა

1:0, 2:0 შოჯი ჯო (47,60), 3:0 ა. მიურა (66), 4:0 კ. მიურა (80)

იაპონია: კავაგუჩი, ნაოკი, მორიოკა, კ. ნაკატა, შოჯი ჯო, იოშიჰარუ (კ. მიურა 75), იტო (იანაგისავა 46), ნანამი, ჰ. ნაკატა, აკინორი (ტატსუჰიკო 75), ნაკამურა

იამაიკა: ლოურენსი, კრისტოფერ დევისი, მ. ჯონსონი, ფ. სინკლერი, ჰალი, დიქსონი, კლოდ დევისი, გრიფიტსი, ჰუე (მალკოლმი 46), ჟ. ჯონსონი, უილიამსი

მსაჯი: მაგასა სიდი ბეკაიე (მალი)

10 000 მაყურებელი

ლიგის თასი

აშშ 1:1 ირლანდია

0:1 ფოლი (31), 1:1 რაზოვი (68)

აშშ: ფრიდელი, ჰეიდუკი, ბერჰალტერი, ბრაუნი, ვანეი, ობრაიენი (რეინა 58), კიროვსკი, ოლსენი (სანე 75), რალსტონი (სტიუარტი 46), კრეისი (ჯონსი 65), რაზოვი (მაკბრაიდი 88)

მწვრთნელი: ბრიუს არენა

ირლანდია: ა. კელი, კარი, ფილანი, ბები, ბრინი, კილბეინი, ჰოლანდი, ფარელი (კენედი 72), მაკფაილი (მაკატირი 37), ფოლი (ბ. ქუინი 88), დოჰერთი (ნ. ქუინი 72)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

16 319 მაყურებელი

ამხანაგური მატჩი

ნიგერია 4:1 მალავი

0:1 ოკვაზი (25), 1:1 სკინი (40), 2:1 ადამუ (50), 3:1 გასპერი (73), 4:1 შუაიბუ (90)

15 000 მაყურებელი

პოლონეთი

თასის ფინალი

I მატჩი

ვისლა 2:2 ამიცა

0:1 სობოჩინსკი (25), 1:1 ფრანკოვსკი (44), 1:2 სოკოლოვსკი (65), 2:2 ფრანკოვსკი (74)

8 000 მაყურებელი

საპასუხო მატჩი გაიმართება 9 ივნისს ვრონკიში

ფეხბურთის რუკასთან

ფრანგი ნახევარმცველი რობერ პირესი „ოლიმპიკიდან“, ალბათ, „არსენალში“ გადაინაცვლებს. ინგლისური პრესის ცნობით, „არსენალი“ მასში 6 მილიონ გირვანქას იხდის. ლონდონელებმა „სან პაულუს“ ფორვარდ ფრანკასაც დაადგეს თვალი. ბრაზილიელმა თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ინგლისის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა და „უემბლიზე“ გოლიც გაიტანა. 24 წლის ფეხბურთელს ესჟ-ც ეპატიჟება.

ესპანეთის მეორე დივიზიონში დაქვეითებული მადრიდის „ატლეტიკოს“ მთავარ მწვრთნელად ფერნანდო სამბრანო დაინიშნა. წინა სეზონის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მან რადომირ ანტიჩი შეცვალა და გუნდი დროებით ჩაიბარა, ახლახან კი სპეციალისტმა მადრიდულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩემი ამოცანა „ატლეტიკოს“ პრიმერადივიზიონში დაბრუნებაა.“ — თქვა სამბრანომ.

სასაცილო!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM
ყველაზე პიტების ცოლი

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

სიდნეი 2000

ჩაცმა-დახურვის დროც მოსულა

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. სწორედ ამგვარ საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობს სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

— ბატონო ემზარ, მაისის ბოლოს თქვენ საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდით ბრაზილიაში. რითი იყო ეს ვიზიტი აღსანიშნავი?

— ბრაზილიაში ჩატარდა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა XII გენერალური ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობდნენ 184 ქვეყნის წარმომადგენლები, საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელები და, რაღა თქმა უნდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან-ანტონიო სამარანჩი. ასეთი შეხვედრები ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ამჯერად, ასამბლეის მთავარი მიზანი ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხები იყო. დამსწრე საზოგადოება გაეცნო თამაშებისთვის მზადების გეგმას ერთი მხრივ მასპინძელთა მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ ეოკებისა და საერთაშორისო ფედერაციებისგან. ფაქტობრივად, როგორც მოსალოდნელი იყო, სიდნეი მზად არის ოლიმპიური თამაშებისთვის. თუმცა პრობლემები ჯერ კიდევ არის. ამჟამად უმთავრესი პრობლემაა კვალიფიციურ სპორტსმენთა, ოფიციალურ პირთა და სტუმრების აკრედიტაციის პრობლემები. ბევრ ქვეყანას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია მგზავრობის საკითხები. ასამბლეაზე მწვავედ წამოიჭრა დოპინგთან ბრძოლის პრობლემაც.

პირადად მე მქონდა შეხვედრები აკრედიტაციის, საემიგრაციო და სპორტული დირექტორატის წარმომადგენლებთან. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ამ თავყრილობაზე აშკარად იგრძნობოდა მსოფლიოს ეროვნული კომიტეტების ასოციაციის (ANOC) პრეზიდენტის მარიო ვასკის რანიას სურვილი, რათა ღირსეულად გააცილონ პენსიაზე ხუან-ანტონიო სამარანჩი, რომლისთვისაც ეს ასამბლეა სეოკ-ის ხელმძღვანელის პოსტზე უკანასკნელი იყო. თავად სამარანჩმა კი რანიას სოკ-ის აღმასკომის წევრად გაუწია რეკომენდაცია.

— რა მდგომარეობაა ამჟამად ჩვენი დელეგაციის ეკიპირებასთან დაკავშირებით?

— დაინტერესებულმა პირებმა უკვე იციან, რომ სპორტული ეკიპირებით უზრუნველყოფის ნაწილს თავის თავზე იღებს იაპონური ფირმა MIZUNO, ნაწილს კი REEBOCK-ი. ჩვენთან ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ორჯერ იყო ჩამოსული REEBOCK-ის წარმომადგენელი პეტრე ცანავა, რის შედეგადაც ჩვენი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით გაფორმდა ხელშეკრულება. თბილისში ასევე იმყოფებოდა MIZUNO-ს წარმომადგენელი კოჯი ოსავა. ეკიპირებას კი ალბათ ივლისის ბოლოს მივიღებთ.

რაც შეეხება თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალებისთვის ჩაცმულობას, ამ პრობლემის მოსაგვარებლად საუბარი გვქონდა პარიზში ფირმა BALMAIN-თან, რომლის წარმომადგენელიც უკვე ჩამოვიდა თბილისში. ჩვენ შევთანხმდით ქსოვილზე, დიზაინზე და ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა ზომებიც ავიღეთ. ვფიქრობ, რომ ეს ეკიპირება 20 აგვისტოსთვის იქნება თბილისში.

სამივე შეკვეთა უცხოეთში სრულდება და წინასწარ ვგრძნობთ, რომ მათი მიღების შემდეგ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით. უცხოელები ხშირად გვიკეთებენ შეღავათს, ჩვენთან კი წამოიჭრება პრობლემები მათი განბაჟებისას.

ჩვენი დიდი სურვილი იყო, რომ ეკიპირება საქართველოში დამზადებულიყო. ამიტომ მივმართეთ მსუბუქი მრეწველობის დარგის მუშაკებს თბილისში, ქუთაისში, ვიყავით ფეხსაცმლის ფირმა „ქართუში". სამწუხაროდ, ჩვენი მცდელობა უნაყოფო გამოდგა.

— მგზავრობასთან დაკავშირებით რას იტყოდით?

— სიდნეიში სეოკ-ის დელეგაციის ტრანსპორტირების მრავალი ვარიანტის განხილვის შემდეგ, AIRZENA-ს ხელმძღვანელობის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ყველაზე მოსახერხებელ ვარიანტად მივიჩნიეთ მარშრუტი თბილისი-ათენი-ბაჰრეინი-სიდნეი. ხელშეკრულება ათენში გაფორმდა. საქართველოს დელეგაცია გაემგზავრება ოთხ ჯგუფად, უკან კი დაბრუნდება ორ ნაკადად. დელეგაციაში სავარაუდოდ 90 კაცი შევა.

ზურაბ თალაკვაძე

ყველაფრის მომგები რაფაელი მაინც გულდაწყვეტილია

რაფაელ ჩიმიშკიანი დაიბადა 1929 წლის 23 მარტს თბილისში. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. არის სსრკ ხუთგზის (1949, 51, 54, 55, 60), ევროპის ამდნივეგზისა (1950, 54-57) და მსოფლიოს ორგზის (1954-55), ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის (1950, 53) და ერთხელ ევროპის (1953) ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. 14 მსოფლიოს რეკორდის ავტორი. 1952 ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ღირსების ორდენის კავალერი.

რაფაელ ჩიმიშკიანი

რაფაელ ჩიმიშკიანი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონთაგანია, რომელმაც ამ წარმატებას 1952 წელს ჰელსინკში მიაღწია.

— მაშინ მართლაც კარგ ფორმაში ვიყავი — გვიამბობს ჩიმიშკიანი — მართალია, საკავშირო ჩემპიონატზე ვერ შევძელი გამარჯვება, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საუკეთესო ფორმაში სწორედ ოლიმპიადაზე ვიქნებოდი. მაშინ ჩემთან ერთად ვარჯიშობდა იმდროის ერთ-ერთი საუკეთესო ძალოსანი საქსონოვი, რომელსაც წესით ჰელსინკშიც უნდა მოეპოვებინა ოქროს მედალი. ნაკრების მწვრთნელებიც თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ მის გამარჯვებაში. მაგრამ ოლიმპიური ტურნირი მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა სხვა შეჯიბრებისგან.

საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ საქსონოვმა და ნაკრების მწვრთნელმაც გულწრფელად მე მომილოცეს გამარჯვება.

— ხომ შეგეძლოთ 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც მიგეღოთ მონაწილეობა?

— რა თქმა უნდა, 1956 წელს მელბურნში ჩემი წასვლა პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ოლიმპიადის დაწყებამდე ორი თვით ადრე გავცივდი და ნაკრების ერთ-ერთი წინასაოლიმპიადო შეკრება გამოვტოვე. ნაკრების მესვეურებსაც მეტი რა უნდოდათ: უმალ ამცნეს მაღალ ინსტანციებს, რომ მე მზად არ ვიყავი ოლიმპიური თამაშებისთვის.

არადა, საპრიზო ადგილის დაკავება შემეძლო. ამიტომ გული მწყდება რომ მელბურნის თამაშებს მიღმა დამტოვეს.

— ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო ძალოსნად?

— ძალოსნობის ისტორიაში იყო ბევრი სპორტსმენი, რომლებსაც მრავალი გამარჯვება მოუპოვებიათ, როგორც კონტინენტის,ისე მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებზე. მაგრამ, ჩემი აზრით, საუკეთესო მაინც გაამერიკელებული იაპონელი ტომი კონო იყო. ეს სპორტსმენი, გარდა იმისა, რომ უძლიერესი ძალოსანი იყო, ამავდროულად კულტურიზმშიც საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. თანაც, სხვა „ვარსკვლავებისგან" განსხვავებით საკმაოდ ზრდილობიანი და თავმდაბალიც იყო.

— როგორ ფიქრობთ, რით დამთავრდება სიდნეის ოლიმპიური თამაშები ჩვენი ძალოსნებისთვის?

— პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ რაც მეტ მედალს მოვიგებთ, მით უკეთესი.

ზურაბ თალაკვაძე

დარჩა 3 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა მესხი ირაკლი ლაბაძესა და თავის თავზე

ლეილა მესხი

სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის პრაქტიკულად დასრულებულია ყველა სალიცენზიო ტურნირი, თუმცა მრავალ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს სპორტსმენებს „უალდ-ქარდის" წესით კიდევ აქვთ საშუალება ორისამი ლიცენზიის მოპოვებისა.

ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე თუ სექტემბრამდე სარეიტინგო ქულების საჭირო რაოდენობას დააგროვებს, მაშინ სიდნეიში წამსვლელ ქართველ ლიცენზიანტთა ჯგუფს ისიც დაემატება.

ლაბაძის სიდნეიში სავარაუდო წასვლისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ გავესაუბრეთ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ქალბატონ ლეილა მესხს.

— ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა მონაწილეობას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ირაკლი ლაბაძე. სამწუხაროდ, ირაკლის ამჟამინდელი სარეიტინგო მდგომარეობა არ აძლევს მას ამის საშუალებას. თუმცა იმედს არ კკარგავთ, რომ ლაბაძე შესძლებს სარეიტინგო ქულების საჭირო რაოდენობის დაგროვებას და მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში.

— თუ ეს მოხდა, რა შედეგს უნდა ველოდოთ მისგან?

— არ მიყვარს პროგნოზები, მაგრამ, ჩემი აზრით, ირაკლის არ უნდა გაუჭირდეს პირველი დ შესაძლოა, მეორე წრის გავლაც. ისე, არა მარტო ირაკლისთვის, არამედ ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა საფარზე ტარდება ტურნირი. რამდენადაც ვიცი, ავსტრალიელებმა შეჯიბრის ბალახზე ჩატარება მოითხოვეს, თუმცა, ჩემი აზრით, ტურნირი ჰარდზე გაიმართება. ასევე გასათვალისწინებელია ის, თუ ვინ იქნება ირაკლის მოწინააღმდეგე პირველ წრეში.

— უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში ლაბაძე ძირითადად მეორეხარისხოვან ტურნირებში თამაშობს, რაც მას სარეიტინგო მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას არ აძლევს. რა უშლის ხელს ირაკლის რომ ოდნავ მაღალი დონის შეჯიბრებაში გამოვიდეს?

— ისევ და ისევ უფულობა. ლაბაძეს რომ ნორმალური სპონსორი გამოუჩნდეს, იგი გაცილებით ბევრ და მაღალი დონის ტურნირებზე იასპარეზებდა. მე არ ვეთანხმები იმ ხალხს, რომლებიც თვლიან, რომ ირაკლიმ, როგორც ჩოგბურთელმა, შეწყვიტა ზრდა. იგი ჯერ ხომ მხოლოდ 18 წლისაა. ამ ასაკში ძალზე რთულია საჩოგბურთო ელიტაში შესვლა. გავიხსენოთ თუნდაც გერმანელი მიხაელ შტიხი. იგი 22 წლამდე პრაქტიკულად ყველასთვის უცნობი იყო, თუმცა უიმბლდონის მოგების შემდეგ მიხაელი საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

— ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენს მიერ ჩატარებულ მატჩებს ოლიმპიურ ტურნირზე?

— ასე უცბად მიჭირს რომელიმე კონკრეტული მატჩის გახსენება. ალბათ ყველაზე იმედგამცრუებელი მატჩი 1992 წელს მარი პირსის წინააღმდეგ ჩავატარე. ძალზე გადაღლილი ვიყავი და პირსმაც საკმაოდ იოლად მომიგო. თუმცა წყვილებში ნატაშა ზვერევასთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, არადა, ნახევარფინალში ორი სეტ-პოინტი რომ გამოგვეყენებინა, შესაძლოა ოქროს მედლებისთვისაც გვებრძოლა.

— ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენს მიერ ჩატარებულ საუკეთესო მატჩს?

— 1991 წელს ჰილტონ-ჰედის მეორე წრეში მარტინა ნავრატილოვას მოვუგე. იმ დღეს მართლაც შესანიშნავად ვთამაშობდი. თანაც აღსანიშნავია, რომ იმ ტურნირზე პირველი ათეულის სამი წარმომადგენელი დავამარცხე: ჯენიფერ კაპრიატი, ზვერევა და ნავრატილოვა. თუმცა ფინალი საკმაოდ იოლად დავთმე გაბრიელა საბატინისთან.

— ვინ მიგაჩნიათ დღესდღეობით საუკეთესო ჩოგბურთელად?

— მამაკაცებში აგასი და კაფელნიკოვი, ქალებში კი ჰინგისი. ასევე ძალზე მომწონს კურნიკოვა.

ზურაბ თალაკვაძე

ირაკლი ლაბაძე

ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

თემურ ხურცილავა

კრივი — 54კგ

დაიბადა 1979 წლის 15 სექტემბერს რუსთავში

სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1994 წელს ზაურ ანთაისთან. არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, 1997 წელს ჩუდრის ტურნირის ფინალისტი, 1999 წელს საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი (III ადგილი). ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა წლეულს ლივერპულში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. რაიმე კურიოზი ხომ არ შეგმთხვევიათ?

3. რა შედეგის ჩვენებას გეგმავთ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე?

1. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა კრივი. რაც შეეხება კრივის სექციაში ჩემს პირველ მისვლას, ეს მთლიანად ჩემი მეგობრების დამსახურებაა. მართალია, მშობლები ამის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე, ვარჯიშებზე წასასვლელად კი ხშირად სკოლიდან გაპარვაც მიხდებოდა. დღეს სულაც არ ვნანობ, რომ მოკრივე ვარ.

2. ნამდვილად ვერ ვიხსენებ კურიოზულ შემთხვევას.

3. შევეცდები რაც შეიძლება კარგი შედეგი ვაჩვენო. თუმცა ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩემს გამოსვლაზე ასევე დიდ გავლენას იქონიებს ის, თუ რა დახმარებას გაგვიწევს კრივის ფედერაცია და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. ისე, ოლიმპიურ ტურნირში მხოლოდ მონაწილეობაც ჩემთვის უდიდესი პატივია.

ოლიმპიური კურიერი

REUTERS პერტიდან

პერტის ზარაფხანაში სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლების ნიმუშებს გვიჩვენებს ავსტრალიის ერთ-ერთი ყველაზე პატივდებული ოლიმპიელი შირლი დე ლა ჰანტი, რომელსაც ოლიმპიადებზე შვიდი მედალი მოუპოვებია. საინტერესოა, რომ პერტასა და კანბერაში მდებარე ავსტრალიის ზარაფხანები თანამოზიარენი არიან ოლიმპიური ოქროს მედლის წარმოებაში.

ავსტრალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასახელა მოკრივეთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, რომელიც სიდნეიში გამოვა. ოლიმპიურ ნაკრების ღირსებას დაიცავენ: პორ ბრედლი (48), ერლ უილშაირლი (51), ჯასტინ კეინი (54), ჯეიმს სვონი (57), მაიკლ კატსიდისი (60), ჰენრი კოლინზი (63,5), დანიელ გელი (67), რიჩარდ როულზი (71), პოლ მილერი (75) და დენიელ გრინი (81). ამათგან განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ ოკეანეთის ჩემპიონ დანიელ გელიზე, რომელსაც უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში არცერთი ორთაბრძოლა არ წაუგია.

***

ყველა დროის საუკეთესო ჰოკით მხტომელი, უკრაინელი სერგეი ბუბკა სიდნეის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ აქტიურ სპორტს გამოეთხოვება, 1983-დან 1997 წლამდე ბუბკა ზედიზედ ექვსჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ამ ხნის განმავლობაში 12 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 1988 წელს, სეულში გამართულ ოლიმპიადაზე უკრაინელმა სპორტსმენმა ოქროს მედალი მოიპოვა. სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ბუბკამ სამი კვირის წინათ დაიწყო ვარჯიში.

„სიდნეში ოქროს მედალი უნდა მოვიგო. ეს იქნება იდეალური დასასრული ჩემი არცთუ ურიგო კარიერისა“ — განუცხადა ბუბკამ მონტე-კარლოში გამართულ პრესკონფერენციაზე.

***

ამერიკაში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც დასახელდა ამერიკის კალათბურთელთა „ოცნების გუნდის“ ყველაზე პოპულარული მოთამაშე. 264 ხმით პირველ ადგილზე გავიდა მაიკლ ჯორდანი, ხოლო მომდევნო ორზე ლარი ბერდი და მეჯიკ ჯონსონი. აღსანიშნავია, რომ 1825 გამოკითხულიდან არცერთმა არ გაიყვანა პირველ ადგილზე შაკილ ონილი.

ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე

სეული 1988 წელი

1) ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — I და II

2) დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — I

3) ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა) — I

4) ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში) — I

5) გელა კეტაშვილი (ფეხბურთი) — I

6) ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა) — II

7) ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო) — III

8) გიორგი თენაძე (ძიუდო) — III

9) ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი) — III

10) მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი) — III

11) მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) — III

12) გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა) — IV

13) ქრისტინა ფალასანიდი (სინქრონული ცურვა) — VII

14) გურამ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა) — VII

15) ლეილა მესხი (ჩოგბურთი) — II წრე

16) თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — ფინალში არ გასულა.

სულ სეულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 16 ქართველი სპორტსმენი, რომლებმაც მოიპოვეს 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

ამერიკელები რაკეტას ამზადებენ

როჯერ კლემენსი

ბეისბოლში, სპორტის ამ წმინდა ამერიკულ სახეობაში 8 მაისამდე არ ჩანდა გამოკვეთილი ოლიმპიური ფავორიტი: ოქროს მედლების მოპოვება შეეძლოთ როგორც ამერიკელებსა და კუბელებს, ასევე სამხრეთ კორეის, იტალიის, ჰონდურასისა და ჰოლანდიის ნაკრებებს. ხუთ მაისს კი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა: თითოელ გუნდს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს სამი პროფესიონალი ანუ MAJOR LEAGUE-ში მოთამაშე სპორტსმენიო. თუ კუბელებს და სხვა დანარჩენ გუნდებს ჯერჯერობით არ გადაუხალისებიათ თავთავიანთი შემადგენლობები, ამერიკელებმა უკვე დასახელეს იმ სამი მოთამაშეის ვინაობა, ვინც სავარაუდოდ დაეხმარება მათ გუნდს სიდნეიში ოქროს მედლების მოპოვებაში. რჩეულთა შორის მოხვდნენ შორტ სტოპი-უოლტ ვეისი, პიტჩერი დევიდ კოუნი და ამავე პოზიციაზე მოთამაშე როჯერ THE ROCKET (რაკეტა) კლემენსი. სამივე მოთამაშე პროფესიონალთა ელიტაშია, მაგრამ მაინც უნდა გამოვარჩიოთ კლემენსი.

სპორტის თითქმის ყველა სახეობაში სეზონის დასრულების შემდეგ ამა თუ იმ მოთამაშეს გადაეცემა უძვირფასესის MVP-ის პრიზი. ბეისბოლში კი პიტჩერს (ჩვენებურად მომწოდებელს) ცალკე პრიზს — CY-YOUNG AWARD-ს გადასცემენ, რომელიც როჯერსს „მეიჯორის“ ისტორიაში ყველაზე მეტჯერ-ხუთჯერ მოუგია. კლემენსი ის იშვიათი სპორტსმენთაგანია ვისაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 1994 წელს კლემენსი ბოსტონიდან ტორონტოში გადავიდა. ამისთვის ბოსტონის იმდროინდელმა მერმა დალას შერმანმა ტელევიზიით მადლობა გადაუხადა კლემენსს და განაცხადა, რომ ბოსტონის სტადიონის ტერიტორიაზე დაიდგმებოდა მისი ძეგლი. შერმანი სიტყვის კაცი აღმოჩნდა: ერთი თვის შემდეგ ბეისბოლის უამრავი გულშემატკივარი ტაშს უკრავდა როჯერის სამმეტრიანი ძეგლის ოფიციალურ გახსნას.

როჯერ კლემენსი დაიბადა 1962 წლის 4 აგვისტოს დაიტონში (ოჰაიო). იგი ბილ და ბესს კლემენსების ოჯახში მეშვიდე ვაჟიშვილი იყო. შვილს მამა თვალითაც არ უნახავს. სამი თვის როჯერი დედის გარეშეც დარჩა-ბეს კლემენსი ვინმე ვუდი ბუერს გაჰყვა ცოლად...

15 წლამდე როჯერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდა: იგი თამაშობდა დაიტონის ერთ-ერთი სკოლის კალათბურთელთა გუნდში და იმავდროულად საკმაოდ ძლიერ პიტჩერადაც ითვლებოდა.

17 წლის როჯერმა საბოლოოდ გადაწყვიტა გამხდარიყო ბეისბოლისტი მას შემდეგ, რაც 1979 წლის 18 სექტემბერს იგი თავისთან მიიწვიეს იმ დროს სამოყვარულო ლიგის ლიდერის „SPRING WOOD LIONS“-ის მესვეურებმა. მომდევნო სამი წლის განმავლობაში კლემენსი ორჯერ აღიარეს წლის საუკეთესო მოთამაშედ. ამის მერე იმედის მომცემი მოთამაშე ნიუ იორკ „მეტსმა“ აიყვანა დრაფტზე. თუმცა მოგვაიანებით კლემენსმა მაჯა საკმაოდ მძიმედ დაიშავა და ნიუ იორკელებმაც მის ნაცვლად ჩარლი დოუსონს უხმეს.

ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც ბოსტონის ერთ-ერთმა სკაუტმა დენი დოლმა დაარწმუნა გუნდის პრეზიდენტი იმაში, რომ როჯერ კლემენსის სახით მათ 80-იანი წლების ნოლან რაიანის (ყველა დროის საუკეთესო პროფესიონალი პიტჩერი) შეძენა შეეძლოთ. პრეზიდენტი ენდო დოილს და როგორც მოგვიანებით გაირკვა, არც შემცდარა.

თავის პირველსავე სეზონში (1984-85) კლემენსმა 9 შეხვედრა მოიგო, რაც საკმაოდ კარგი შედეგი იყო ახალბედისთვის. მომდევნო სეზონში კლემენსს კვლავ დაუშავდა მაჯა, რის გამოც მხოლოდ 15 შეხვედრაში მონაწილეობდა. 1986 წელი უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო იყო 192 სმ-იანი პიტჩერისთვის: მან 24 თამაშის მოგება შესძლო, შეიდა გინესის რეკორდების წიგნში ერთ თამაშში მოპოვებული სტრაიკ-აუტების რაოდენობით, ხოლო ბოსტონი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გავიდა პლეი-ოფის ფინალში, სადაც 6 მატჩში დამარცხდა „მეტსთან“. იმავე წელს კლემენსმა მოიგო თავისი პირველი უძვირფასესი მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზიც. მომდევნო წლების განმავლობაში „რაკეტა“ კვლავ შეუდარებელი იყო, მაგრამ ბოსტონი, რომელსაც მის გარდა ერთი ხეირიანი მოთამაშე (უეიდ ბოქსი) ჰყავდა, ვერა და ვერ ახერხებდა პლეი-ოფში გასვლას.

1994 წელი უკანასკნელი აღმოჩნდა როჯერის ბოსტონურ კარიერაში — იგი ტორონტოში გადავიდა.

1997—98 წლებში როჯერი ზედიზედ ორჯერ ხდება „მეიჯორის“ საუკეთესო მომწოდებელი, მაგრამ მიუხედავად მისი დიდებული თამაშისა, ტორონტო ვერც ერთხელ ვერ მოხვდა სუპერ-ფინალის სერიებში.

1999 წლამდე კლემენსი ვერა და ვერ გახდა ჩემპიონი, მაგრამ სწორედ ამ სეზონში იგი გადაბირა ლიგის უძლიერესმა გუნდმა „ნიუ იორკ იანკისმა“. მის საფასურად ლიგის გრანდმა ერთბამად ხუთი მოთამაშე დაუთმო ტორონტოს.

მიუხედავად იმისა, რომ როჯერმა სეზონში მისთვის უჩვეულოდ ბევრი — 10 შეხვედრა წააგო, ნიუ იორკმა მაინც ჩემპიონობა მოიპოვა და თანაც გადამწყვეტ შეხვედრაში ატლანტას წინააღმდეგ გამარჯვების მომტანი ქულა სწორედ კლემენსმა მიითვალა.

„სიდნეიში ჩემი წასვლა-არ წასვლის საკითხი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იასპარეზებს ნიუ იორკი რეგულარულ ჩემპიონატში. თუმცა, ოლიმპიურ ტურნირში გამოსვლა ნამდვილად არ უნდა იყოს მოსაწყენი. თუ დევიდიც (კოუნი) შეუერთდება გუნდს, ამერიკას ოქროს მედლის მოპოვების პირველი კანდიდატი გახდება. ისე, სიდნეიში წასვლას ჩემს ოჯახთან დარჩენა მირჩევნია“ — განაცხადა კლემენსმა ESPN-ისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ზურაბ თალაკვაძე